

# ლოზარული თრმესელის სხოვრება



ფურცალია  
თფილისი

1933

## „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“

ესპანური მოთხრობა „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ პატარა მოცულობისა არის და არ მოითხოვს დიდს დროს მკითხველისაგან. სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობისაა ეს მოთხრობა თავისი მხატვრული ღირსებებით და იმ ისტორიული როლის მხრივ, რომელიც ესპანურ ლიტერატურაში ითამაშა მისმა გამოჩენამ. ამ მხრით „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ ეკუთვნის წიგნების იმ მცირე რიცხვს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურამ გამოჰყო ეპიურ ქმნილებებიდან, როგორც საზოგადო მნიშვნელობის ძეგლი. სერვანტესის „დონ-კიხოტსა“ და კალდერონის დრამებთან ერთად „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ ყოველთვის ითარგმნებოდა სხვადასხვა ენებზე და ამ შემთხვევაში არც ქართულ ლიტერატურას დაუ-

შვია გამონაკლისი. ამას ამტკიცებს პ. უმი-  
კაშვილი მშვენიერი თარგმანი, რომელსაც  
მკითხველი გაეცნობა მოთხრობის ამ მეორე  
გამოცემაში.

\* \* \*

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ პირ-  
ველად გამოიცა 1554 წელს ბურგოსის, ენა-  
რესის და ანტვერპენის ტიპოგრაფიების მიერ\*).  
ამ შესანიშნავ ნაწარმოებს გამოსვლისთანავე  
გაუგონარი პოპულარობა და გავრცელება ხვდა  
წილად. მე-16 საუკუნის მანძილზე გამოდის  
უთვალავი გამოცემები „ლაზარილიოსი“ ესპა-  
ნურ და სხვა ევროპულ ენებზე.

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებამ“  
ესპანურ ლიტერატურაში გამოიწვია მიმბა-  
ძეელობის მთელი ტალღა. ჯერ კიდევ ამ ნა-  
წარმოების გამოქვეყნების მეორე წელს (1555),

\*) ცნობილი ესპანისტის, ტიკნორის, აზრით პირველი  
გამოცემა გამოვიდა 1553 წელს, ქ. ანტვერპენში, ხოლო  
შემდეგ გადაბეჭდილ იქნა ბურგოსის ტიპოგრაფიის მი-  
ერ 1854 წელს. იხ. ტინკორი-ესპან. ლიტ. ისტორია, რუს.  
თარგმ. 1883. მოსკ. ტ. 1, გვ. 423. შკინიშენ.

ქ. ანტვერპენში, გამოდის უცნობი ავტორის მეორე ნაწილი ლაზარილიო ტორმესელისა (La Segunda Parte de Lazarillo de Tormes), რომელიც აგრძელებს მოთხრობას სწორედ იმ ადგილიდან, სადაც თავდება „ლაზარილიო“. შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ასეთი „გაგრძელებების“ გამოქვეყნება. ცნობილია საკმაოდ ბევრი ვარიაციები ამ მოთხრობის სიუჟეტზე.

მაგრამ ეს „გაგრძელებანი“ მოკლებული არიან იმ მხატვრულ ღირსებებს, რომლებითაც „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ არის დაჯილდოვებული\*), ბევრი მათგანი შეუმჩნეველი დარჩა, ზოგს ერგო ყურადღება\*\*).

„ლაზარილიო“-ს ავტორის ვინაობა უცნობია. პირველ გამოცემაში ავტორის სახელი და გვარი არ არის აღნიშნული. ტრადიცია დიდხანს მიაწერდა ამ თხზულებას დიეგო ჟრტადო მენდოზელს, რომელიც საკმაოდ ცნო-

---

\*) იხ. ტიკნორი, I,

\*\*)\_ტიკნორი, I, 424.

ბილი მეცნიერი, პოეტი და დიპლომატი ყოფილა.\*\*) მე-19-ე საუკუნემდე ეს ტრადიცია საკმაოდ მტკიცე იყო. ჯერ კიდევ ტიკნორი აღნიშნავდა: მე არ მესმის, ავტორს, რომელიც არ იყო პროტესტანტი, როგორ შეეძლო დაეწერა ისეთი რამ, როგორიცაა თავი ინდულიგენციის გამყიდველზე. მენდოზა, მგონი ოფიციალურად არასოდეს არ აცხადებდა თავს „ლაზარლიოს“ ავტორად. და მართლაც, პატრი სიგუენზა თავის ვრცელ და საინტერესო ისტორიაში წმ. იერონიმეს ორდენისა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ლაზარლიო დაწერილია კარლოს მე-V-ის ერთერთი მახლობელის, ხუან ორტეგოელის მიერ, იმპერატორის ჩასვლისას წმ. იუსტას მონასტერში“. (I, 423. 76 შენ.); და მართლაც, შემდეგმა მეცნიერულმა ძიებებმა დაადასტურეს დიეგო ურტადო მენდოზელის ავტორობის ვერსიის უსაფუძვლობა.

---

\*\*) დიეგო ურტადო მენდოზელის ბიოგრაფია და მისი ლიტერატ. მოღვაწეობის მიმოხილვა იხ. ტიკნორი I, 421-422, 425-434.

მაგრამ დღემდე კიდევ არ არის საბოლოოდ გამოჩვენებული „ტორმესელის“ ავტორის ვინაობა. ისპანისტებს შორის ამ საკითხის გარშემო არსებობს შეხედულებათა წინააღმდეგობა — ასახელებენ სხვადასხვა პირებს მე-16 საუკუნის ესპანურ ლიტერატურიდან.

\*  
\* \*

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ გამოქვეყნდა კარლოს მე-V-ის მეფობის წლებში (1517-1556); ეს არის მძლავრი მონარქიის, ესპანიის კოლონიალური პოლიტიკის გამარჯვებისა და დიდი კულტურული აღორძინების ეპოქა. ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი ესპანურ აბსოლუტიზმს.

ტრიუმფალურმა ომებმა და კოლონიებიდან შემოტანილმა საქონელმა შეჰქმნეს მტკიცე მატერიალური ბაზა საზოგადოების მაღალი ფენებისათვის. ისინი ქმნიან განსაზღვრულ ლიტერატურულ სტილს, ჟანრებს, ისევე, როგორც კულტურის სხვა ღირებულებებს. ამ ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან

გამოირჩევა მხოლოდ ერთი „ლაზარელი“  
ტორმესელის ცხოვრება“, რომლის თემატიუ-  
რი და მხატვრული მხარე შეუფერებელი იყო  
არისტოკრატიის მაღალი სტილის ლიტერატუ-  
რისათვის. ეს პატარა წიგნაკი, რომელიც და-  
წერილია „უხეშ“ კასტილურ ენაზე და რო-  
მელშიაც მოთხრობილია თავგადასავალი საბ-  
რალო მსახურისა, თავკიდურად ექცა ახალი  
ჟანრის განვითარებას ესპანურ-და ევროპის  
სხვა ქვეყნების—ლიტერატურაში.

მოთხრობა (რომელიც რამდენიმე ათეულ  
ფურცელს შეიცავს) ეხებოდა არა რაინდების  
თავგადასავალს, არამედ საზოგადოების გან-  
საზღვრულ ფენების ყოფას. ეს ფენა იყო-  
პიდალგია, წვრილი აზნაურობა, მოკლებული  
მტკიცე ეკონომიურ ნიადაგს ესპანეთის აბსო-  
ლუტიზმის ეპოქაში. ამ პიდალგიას არ  
გააჩნდა ისეთი ურყევი მატერიალური ბა-  
ზა, როგორც ჰქონდათ არისტოკრატებს,  
ვაჭრებს ან სამხედრო იერარქიაში მოკალათე-

ფულ პირებს.\*)" „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ იძლევა იმ ფენების ყოფაცხოვრების სურათს, რომელთაც რაინდული თავგადასავლის რომანების ავტორები არ ეხებოდენ.

„ლაზარილიოს“ ეს თემატიური სიახლეც საკმარისი იყო, რომ მოთხრობას შესაფერისი ყურადღება მიეპყრო. ესპანურ პროზას წალეკვას უქადდა რაინდული რომანების ტალღა და „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ იყო პირველი სიგნალი იმ ახალი ჟანრის დაბადებისა, რომელსაც შემდეგ უნდა დაეჭირა რაინდული რომანის ადგილი. ეს პატარა მოთხრობა პირველი წარმომადგენელია ახალი, მანამდე არ არსებული ჟანრისა. იგი მოუთრობდა პიკაროს, „პლუტის“ ცხოვრებაზე, რის გამოც პროზის ასეთ ჟანრს ეწოდა *la novella picaresca* („პლუტური ნოველა“),

---

\*) შინაგანი კრიზისი, რომელიც კოლონიალურ პოლიტიკას მოჰყვა შედეგად ოქროს ზედმეტი რაოდენობით შემოტანისა, შინა რესურსებისა და საგარეო ვაჭრობის დისპროპორციის გამო თავს დაატყდა უმთავრესად წერილახნაურობას, რომელიც გადატაკების გზას დაადგა.

რომლის გავლენით შემდეგ იწერებოდა რომანებიც—*Quusto picaresco*.

ამ ჟანრის საბოლოო კანონიზაციის ნიადაგზე „რაინდულმა რომანებმა“ თავისი მნიშვნელობა დაჰკარგეს. სერვანტესმა საბოლოოდ დაასამარა ეს ჟანრი „დონკიხოტის“ სატირული ფურცლებით. ესპანურ პროზაში ეს გარდატეხა „ლაზარილიო ტორმესელი“-ს გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო.

*la novella picaresca*-ს სიუჟეტური ხერხები პირველად გხვდება „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“-ში, რომლის კლასიკური სქემა (ეპიზოდების თხრობისა) საფუძვლად დაედო ამ ჟანრის კომპოზიციას. რასაკვირველია, ტრადიციამ შემდეგ ზოგი რამ შესცვალა ამ სქემაში (და ზოგი თავისებურებაც შეიტანა მასში), მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა ამ სქემის პირველი სახე.

„ლაზარილიო ტორმესელი“-ს კითხვისას მკითხველი შეამჩნევს ცალკე ეპიზოდების ჯგუფს, რომელთა თანმიმდევრობა დაცულია პიკაროს ავტობიოგრაფიის ფონზე. ეს ეპიზოდები

ეთიმანეთთან დაკავშირებული არიან ერთი ძირითადი მოტივის საფუძველზე—ისინი ეხებიან ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს: ლაზარილიო მონაწილეა იმ ამბებისა, რომელსაც თვითონვე მოუთხრობს.

განსაკუთრებული მიზეზების გამო ლაზარილიო ხშირად იცვლის პროფესიას და ყოველ ეპიზოდში გვევლინება ახალი ბატონის მსახურად. ეს აძლევს საშუალებას უცნობ ავტორს—გმირის ავტობიოგრაფიაში შეიტანოს საზოგადოების სხვადასხვა ფენების დახასიათება, რომელიც ხშირად მწვავე სატირის ხასიათს ატარებს. (მაგ. თავი მღვდელზე, ინდულიგენციის გამყიდველზე და სხვ.) ამ მხრით „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ განსაკუთრებული ინტერესის შემცველია და წარმოადგენს თავისი დროის ღირსშესანიშნავ დოკუმენტს.

მაგრამ „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“-ში ეპიზოდები მექანიკური წესით როდი მისდევენ ერთმანეთს. გმირი, რომელიც ავტობიოგრაფიას მოუთხრობს, იმავე დროს

ამხელს თავის მიზნებს—გალატაკებული პიკა-რო ცდილობს მატერიალური უზრუნველყოფისა და წყნარი ცხოვრების მოპოებას. ყოველი მისი ცდა მიმართულია ამ მიზნის მიღწევისაკენ და ერთი ეპიზოდისგან მეორეზე გადასვლა მოტივირებულია გმირის იმედგაცრუებით. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია სოციალური ყოფის მასალების სიუხვე ამ პატარა მოთხრობაში.

როგორც აღვნიშნეთ, „ლაზარილიო ტორმესელი“-ს სიუჟეტური სქემის მიხედვით ანეკდოტური ეპიზოდები დალაგებული არიან განსაზღვრულ წესითა და მოტივაციით. მთლიანობის მისაღწევად მოთხრობაში გამოყენებულია კომპოზიციური ხერხები, რომელთაც საერთო აქვთ აღმოსავლური ეპოსის ზოგიერთ თხზულებებთან. ჩვენი მოსაზრებისათვის საფუძველს იძლევა ამ ნაწარმოებთა სტილიური ხერხების ერთმანეთთან შედარება.

თუ გავიხსენებთ საბა ორბელიანის „სიბ-

რძნე სიცრუისა“-ს და „თიმსარიანს“, ადვილათ შევამჩნევთ იგავარაკების ამ კრებულებსა და პიკარულ ნოველების წიგნებს შორის არსებულ ზოგიერთ ნათესაობას. ამ ნათესაობას ამყარებს შემდეგი სტილიური მომენტი: ურთიერთისაგან განსხვავებული ეპიზოდები დაკავშირებული არიან ერთი ან რამდენიმე პირის თხრობის საშუალებით. ეს პირი შეიძლება მონაწილეობდეს ეპიზოდებში, როგორც გმირი და პერსონაჟი ან შეიძლება ჰყვებოდეს მას თავისი რომელიმე სენტენციის დასასაბუთებლად.

საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“-ში ასსამოცზე მეტს არაკსა და ანეკდოტს აერთიანებს უბრალო ამბავი, რომელიც დასაწყისშია მოთხრობილი და ერთს გვერდს-ლა შეიცავს. წიგნში ამბების თანმიმდევრობა დაცულია არაკების მომთხრობთა ურთიერთ შენაცვლებით. „თიმსარიანში“ და სხვა აღმოსავლურ არაკების კრებულებში ეს ხერხი თითქმის მიუცილებელი ატრიბუტია სიუჟეტის.

რასაკვირველია, პიკარულ მოთხრობას

ჰქონდა თავისებური ევოლუცია, რომელიც ყველაფერში არ იმეორებდა აღმოსავლური არაკების კანონებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეპიზოდების გაერთიანების ხერხის სათავე აღმოსავლურ არაკებში უნდა ვეძიოთ. ევროპის ფოლკლორში და „დეკამერონში“ ბევრია აღმოსავლეთიდან ნასესხები სიუჟეტური შტამპები და ხერხები.

თვითონ „ლაზარლიო ტორმესელის ცხოვრება“ ამჟღავნებს, რომ მისი ავტორი გაცნობილი უნდა ყოფილიყო ფოლკლორსა და აღმოსავლურ არაკებს. და არ არის შემთხვევითი, რომ „ლაზარლიო“-ს მკვლევარ-ესპანისტთა შორის ამჟამად ყველაზედ უფრო ის შეხედულებაა გაზიარებული, რომელიც პირველი პიკარული მოთხრობის „ლაზარლიო“-ს, ავტორად აცხადებს ხალხური ანდაზებისა და არაკების ერთერთ შემგროვებელს.

აკ. გაწერელია.

**ლაზარულიძე სერგეისელიძე**

**ც ხ ი ვ რ ე ბ ა**

## წინასიტყვაობა ავტორისა

მგონია უსარგებლო არ იყოს, რომ შესა-  
ნაშნავი და იქნება უნახველი და არ გაგონილი  
ამბავი ბევრმა შეიტყოს და არ დაიმარხოს  
დავიწყების სამარეში. ამიტომ რომ იქნება  
ვინმემ წაიკითხოს და ნაამბობი მოეწონოს;  
იქნება ისეთსაც მოეწონოს, ღრმად რომ არ  
იცის ჩახედვა გასართობ საკითხავისა. პლინი-  
უსი ამაზე ამბობს, ისეთი წიგნი არ იპოვება,  
რაც უნდა ცუდი იყოს, რომ შიგ კარგიც არ  
მოიძებნებოდესო; მეტადრე ამიტომ, რომ  
ყველას ერთგვარი გემოვნება არა აქვსო.  
ერთი, რომ პირს არ მიაკარებს, მეორე იმა-  
ვე საგნისთვის თავს გასწირავს; ერთი რომ

რასმე არაფერს დასდევს, მეორეს ღირსეულად მიაჩნიაო. აი ამიტომ არაფერი არ უნდა დაიკარგოს, დაუდევრობით არ მოვეპყრათ, თუ კი მეტად საძაგელი არ არის. პირიქით, რაც ვიცით, ყველას უნდა შევატყობინოთ, თუ კი ამით ვნება არავის მიეცემა და გამოადგება კიდევ. ასე რომ არ ყოფილიყო, ძალიან ცოტა მწერალი გამოვიდოდა; მარტო თავისთვის ხომ არ დასწერდა, რადგანაც ამას შრომა უნდება. მწერლები რომ წერას მისდევენ, იმას კი არ ეძებენ, ფულით დაგვასაჩუქრებნო. იმათი სურვილი ის არის, მათი ნაწერი სხვებმა ნახონ, წაიკითხონ და, თუ ღირსია, აქონ. ტულიუს (ციცერონი) ამაზე ლაპარაკობს: „ხელოვნებას სახელის შოვნა ჰქმნისო“. აბა ვინ იფიქრებს, რომ ომში წინა კაცი სხვებზე წინ იმიტომ მიდის, რომ სიცოცხლე ყველაზე მეტად მობეზრებიაო. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. განსაცდელს პირში ეტაკება, სახელი ვიშოვოო. ხელოვნებაში და მეცნიერებაშიაც ასეა. მოქადაგეს, კარგი ქადაგების მთქმელს, ხალხის სულის ცხონების ზრუნვა აქვს მარტო. მაგრამ აბა ჰნახეთ, ეწ-

ყინება, თუ არა, რომ უთხრათ: „ღირსო მამო, რა მშვენიერი ქადაგება სთქვითო“? ერთმა უხეირო იარაღის მოვარჯიშემ თავისი ტანთსაცმელი აჩუქა ხუმარასა. რაო, და ისაო, რომ მან აქო, ვითომ მოპირდაპირი მარჯვეთ მოქნეული შუბი აიციდინეო. მართალი რომ ყოფილიყო, როგორ გადუხდიდა? ყოველიფერი ასეა. ამიტომ მონანულის გულით ვადვიარებ, რომ სხვებზე წმინდანი არ გახლავარ, მაინც არ მეწყინება, თუ კი ჩემ ჩმახვას წყალობის თვალთ შემოხედდვენ და გაერთობიან. ვისაც ჭკუაში დაუჯდება, შეიტყობენ, რომ ამ წუთი სოფელში ერთი კაცი ყოფილა ამდენის ჭირის და თავ-გადასავალის მნახველი. გევედრებით მიიჩნიოთ ეს მცირე ნაშრომი კაცისა, რომელიც დიდის ხალისით შეამუშავებდა უფრო ღირსეულად, მისი შნო რა მის სურვილს უდრიდეს. რაკი თქვენ მომწერეთ, დაწვრილებით დაგვიწერე და გვიამბე შენი ამბავიო, მე უმჯობესად დავინახე შუადან კი არა, თავიდან მოვყოლოდი, რომ სრულიად მოგეხსენებოდესთ ჩემი ვინაობა და აგრეთვე იმათთვის, რომ ვისაც მამა-პაპის

სიმდიდრე და ღირსება რგებია; ბედი მწყა-  
ლობელი ჰყოლია, დაფიქრდნენ იმ ბედნიე-  
რების მოსაპოვებლად რა ცოტას გარჯილან  
და რამოდენა უშველებელი ჯაფა გაუწევიათ,  
ვინც შავბედის წინააღმდეგ სამშვიდობოს გა-  
სულა თვისის მეცადინეობის და სიმარჯვის  
წყალობით.

---

## თავი პირველი

ლაზარე თავის ცხოვრების ამბავს  
ლაპარაკობს, ვისი შვილი იყო.

ბრმასთან ყოფნა.

მაშ სულ პირველად ჩემ მოწყალე ბატონებს მოგეხსენებოდესთ, ჩემი სახელი ლაზარეა ტორმესელი; შვილი გახლავარ თომე გონზალეცისი და ანტონია პერეცისა, ტეხარესის მცხოვრებლებისა სალამანკის მიდამოში. დავიბადე ტორმესის წყალში, ამიტომ მისი სახელი დამედვა. თურმე ასე მოხდა ეს ამბავი.

მამა ჩემი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, თხუთმეტ წელიწადზე მეტი მეწისქვილედ იყო ტორმესის წყლის ნაპირას; იმისი მოვალეობა იყო საფქვაავზე თვალი სჭეროდა. ერთ ღამეს დედა ჩემი ჩემზე რომ ფეხ-მძიმედ ყოფილა, წყლის საგუბარზე მშობა თურმე:

ამ გვარად ყოვლად მართალა სიტყვა იქნება რომ ვსთქვა, წყალში დავიბადეო.

რვა წლისა ვიქნებოდი მამა ჩემს შესწამეს, რომ რალაცა ჭრილობა მიგიცია გაუფრთხილებლად საფქვეავის ტომრებისათვისაო; ამისათვის დაიჭირეს და ყველაფერში გამოტყდა, უარი არა თქვა და სიმართლისათვის დევნილი შეიქმნა. იმედი მაქვს, რომ სასუფეველში ცხონებულია, რადგანაც სახარებაში ნათქვამია: — ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვისო.

ამ ხანებში ააშენეს მავრების წინააღმდეგ სახელოვანი გემი არმადა. დაუნიშნეს სასჯელად მუშაობა და ამის ასასრულებლად არმადას გემზე ერთ ჯარის კაცს მეჯინიბეთ გაუნიშეს. როგორც ერთგული მოსამსახურეთათვის ბატონთან ერთად დაილუპა.

დაქვრივებული დედა ჩემი დარჩა უქმროდ და უსახლ-კაროდ. ქვეყანაზე კეთილი აღამიანი ბევრიაო, იფიქრა; იმათ მივმართავო და იმედი ჰქონდა, მეც იმათში გავერევიო. ამ ფიქრით ქალაქში გადასახლდა.

პატარა სახლი იქირავა, საჭმელს უკეთებდა რამდენსამე სტუდენტს და სარეცხს ურეცხავდა რამდენსამე მეჯინიბეს კომანდორ მაგდალინისას.

ამ სახით დედა ჩემს ხშირად მოუხდებოდა ხოლმე საჯინიბოებში სიარული. იქ ერთი მაგრი\*) გაიცნო, ცხენებს რომ სწამლობდა. მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს მაგრი ჩვენსა მოვიდოდა და მხოლოდ მეორე დღეს, დილას წავიდოდა. ხან და ხან დღისითაც კარებთან მოვიდოდა და შინაც კი შემოვიდოდა, ვითომ კვერცხის საყიდლად. პირველ ხანებში იმისი სიარული მეჩოთირებოდა, რაღაცისა მეშინოდა, რაკი უმსგავსი შავი ფერის სახე ჰქონდა, მაგრამ რაკი დავატყე, რომ იმის მოსვლასთან ჩვენი სასმელ-საჭმელი უმჯობესდებოდა, მისი სტუმრობა მესურვებოდა, რადგანაც ყოველთვის იან მოჰქონდა პური, ხორცი და ზამთარში გასათბობი შეშაცა. ამ გვარ განწყობილობით მაგრთან დედა ჩემმა კარგი პატარა არაბი მომიძმობილა, რომელ-

---

\*) მაგრები მოშავო სახის ხალხია, არაბების მსგავსი. მთარგმ.

საც მე ვათამაშებდა და ვუვლიდი. მახსოვრებოდა ერთხელ ჩემი შავი მამინაცვალის ყმაწვილს ეათამაშებოდა. ბიჭუნა ხედავდა, რომ მე და დედა ჩემი თეთრი ფერისა ვიყავით, მამა კი შავი ფერისა; შეშინდა შავი მამისა, მივარდა დედას, თითოთ ანიშნა მავრი და თქვა: „დედილო, ხიხიაო“! მამამ გაიცინა; „ჰაი შე მასხარაო“. მაშინ ხომ ჯერ კიდევ პაწია ბიჭი ვიყავი, მაინც ძმობილის სიტყვები გულში ჩამებეჭდა და ჩემს თავს ვუთხარი: „ქვეყანაზე რამდენი ადამიანი უნდა იპოვებოდეს, სხვებს ერიდება ამიტომ, რომ თავის თავს არ ხედავსო“.

ბედმა ინება, რომ ზაიდას (მავრს ასე ეძახდნენ) და დედი ჩემის აშბავი მოურავის ყურამდის მისულიყო; გაჩხრიკეს საჯინიბო და აღმოჩნდა, რომ ნახევარი ცხენის მისაცემი შვრია მოუპარავს; შეშა, საურვებლები, საფარებლები, ქერის ტომრები დაკარგულა და როცა გამოლევულა, ცხენებისათვის ნალები აუყრია და სულ ესეები თურმე დედი ჩემისათვის უგზავნია ჩემი ძმობილის გამოსაზრდელად.

ნუ გაგიკვირდებათ სასულიერო კაცის ან ბერის ამბავი, თუ ერთი ღარიბებს ჰპარავს და მეორე მონასტრიდან ეზიდება მრევლისათვის და სხვა საჭიროებისათვის, როდესაც რომ სიცოდავ მონასაც კი სიყვარულმა ეს საქმე აქნევინა. იმას ყოველივე ზემოხსენებული გამოუაშკარავდა და ამაზე მეტიც, ამიტომ, რომ როდესაც ტუქსვა დამიწყეს და გამომკითხეს, — ბაღლი დავშინდი და, რაც კი ვიცოდი, წამომაროშვინეს. ისიც კი ვთქვი, რომ დედი ჩემის ბრძანებით, ნალები ერთ მკედელს მივყიდემეთქი. უბედურ ჩემს მამინაცვალს ჯოხით სცემეს. დედა-ჩემს განწესებული ასი ჯოხი დაჰკრეს და აუკრძალეს, კომანდორის სახლში ფეხი არ შესდგა და დასჯილი ზაიდა სახლში არ შეუშვაო. ამავების შიშით და ავი ენის მოშორებისათვის სასტუმრო სოლანის მდგმურების მოსამსახურედ შევიდა. აქათას გვარ გაჭირვებაში და ხელ-მოკლეობაში წამოიზარდა ჩემი ძმობილი და ფეხი აიდგა, მეც ფეხმარდი ბიჭი შევიქენი. მდგმურებს მოურბევინებდი ხოლმე ღვინოს, სანთელს და რასაც კი მიბრძანებდნენ.

იმ ხანად სასტუმროში ჩამოხტა ერთი ბრმა. მიხვდა რომ სატარებლად გამოვადგებოდი, დედაჩემს სთხოვა ჩემი თავი. იმანაც მიმცა და უთხრა, პატიოსანი კაცის შვილიაო, რომელმაც ჭეშმარიტის რჯულის სადიდებლად თავი შეაკლა მავრებს ომშიო; იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ ჩემ შვილს მამობას გაუწევ, კარგა მოეპყრობი და უპატრონებ ობოლ-ოხერსაო. ბრმამ ამაზე უპასუხა: აგრე მოვიქცევით და მოსამსახურედ კი არ მიმყავს; როგორც შვილი ამიყვანიაო. ამ გვარად მოსამსახურედ დაუღეჭი ჩემს ახალს მოხუც ბატონსა. რამდენიმე დღე სალამანკის სასტუმროში დავრჩით. ჩემს ბატონს საშოვარი ეკოტავებოდა და ამის გამო დააპირა წასვლა. წასვლის წინად დედასთან გამოსათხოვრად მივირბინე, ორმავე ვიტირეთ. დედამ დამლოცა და მითხრა:

— შვილო, გული შეუბნება, რომ ველარა გნახავ! ეცადე კარგი კაცი გამოხვიდე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. გაგზარდე, კარგ ბატონთან დაგაბინავე. ახლა შენ თავს შენვე უნდა მოუაროვო.

წავედი ბატონთან, რომელიც მელოდე  
ბოდა. გამოვედით სალამანკიდან და ხიდთან  
მივედით. ხიდის ყურთან რალაცა ქვის მხეცი  
დგას, ხარსა გავს. ბრმამ მითხრა, ამ მხეცთან  
მიმიყვანეო. როცა მივიყვანე, მითხრა:

— ლაზარლიო! აბა ყური მიადე ამ ხა-  
რსა, შიგნით რა ხმა ისმის.

მართალი მეგონა და გულმართლა დავი-  
ჯერე, ყური მივადე; რაკი შემატყო, რომ თა-  
ვი ძეგლთან მეჭირა, ხელი მომავლო თავში  
და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიმახალა და-  
წყევლილ ხარს, ისე რომ სამ დღეზე მეტი  
გავიდა და დაუეჭილი კოპი მტკივოდა. ბრმამ  
მითხრა:

— ისწავლე ჭკუა, ბრიყვო. ბრმის მტა-  
რებელმა ეშმაკზე მეტი უნდა იცოდესო.

დიდ ხანს იცინოდა თავის ხუმრობაზე.  
იმ წამს ისე მეჩვენა, რომ აი ეხლა გამოვკე-  
ვიანდიო და ყმაწვილური უსუსურობიდან გა-  
მოფეხიზლდიო. ჩემს თავს ვუთხარი:

„მართალს ამბობს, რომ გამჭრიახობა მე-  
ჭირება, გონება დავიტანო, მარცხი არ მო-

მივიდეს, რადგანაც თავი ჩემს ამარას დამრჩენია“.

შევუდექით გზასა და რამდენსამე დღეში შემასწავლა თავისი ენა. რაკი ნახა რომ გონიერი ვარ. ძალიან გაეხარდა და მითხრა:

— ვერც ოქროს და ვერც ვერცხლს ვერ გაშოვნინებ, დარიგებას კი ცხოვრებაში გამოსადეგს ბევრს მოგცემო.

მართლაც, ღვთის შემდეგ ყველაზე მეტად ჩემ სიცოცხლეში იმისგან ვარ დავალეზული. თითონ უსინათლო იყო, მე კი თვალის ამიხილა და ცხოვრების გზაზე დამაყენა. სიამოვნებით მოვახსენებ ჩემ მოწყალე ბატონს, ჩემ ყმაწვილურ ოინებს, რომ დავანახვო, რა დიდი სათნოებაა, დაბალი კაცი ახერხებდეს მალლა ასვლას და რა ბიწიერებაა მალლა მდგომარემ იკადროს დაბლა დაშვება. ისევ აი დავუბრუნდები ჩემ კეთილ უსინათლოსა და გაიმბობთ იმის ოინებს: მოეხსენებოდეს თქვენს მოწყალეებს, რაც ღმერთს ქვეყანა შეუქმნია, იმისთანა გაეშმაკებული და გამოქნილი კაცი არ გაუჩენია. თავის ხელობაში სწორედ გმირი იყო: ასობით ლოცვა იცოდა



ზეპირად; დაბალი მისი ხმა, მშვიდი, მკაფიო ზარივით გაისმოდა მთელ საყდარში, როდესაც საგალობელს იტყოდა; მშვიდ ღვთისნიერ სახეს შესაფერ გამოხატულებას დააჩნევდა ლოცვის დროს ისე, რომ არც მიხვრა-მოხვრას შეიცვლიდა, არც პირს დაიღმეჭდა, არც თვალებს დაატრიალებდა, როგორც სხვები ჩადიან. ამას გარდა ათასგვარი ხერხი იცოდა ფულების დაცინცვლისათვის. მაგალითად არწმუნებდა ხალხს, რომ ყოველ გვარ შემთხვევისათვის სხვადა-სხვა ლოცვები იცის: უშვილოსნო დედაკაცებისა, ორსულებისა, მშობიარებისა; იმათი ლოცვაც იცის, ვინც უბედურად გათხოვილა, იცოდა ისეთი ლოცვები, რომ ქმარს შეეყვარებინა. ორსულებს უწინასწარმეტყველებდა გოგო ეყოლება თუ ბიჭი. ეჭიმობას ისე იჩემებდა, რომ თვით გალენმა ნახევარიც არ იცის ჩემოდენა წამლობაო კბილისა, გულ-ყრისა და დედაკაცურ ავადმყოფობისა. ერთის სიტყვით, ვისაც კი რამ ასტკივდებოდა, ეტყოდა:

— აი ესა და ეს უნდა გააკეთოთ, ასე და ასე უნდა გარჯილიყავითო! ესა და ეს

ბალახი მოკრიფეთო, ესა და ეს ღერო იშო-  
ვეთო!

ამაების გამო მას ყველანი ეხვევოდნენ, მე-  
ტადრე დედაკაცობა, რადგან ყოველიფერი  
სჯეროდათ, რაც უნდა ეთქვა. იმათგან ჰქო-  
ნდა კარგი შემოსავალი ზემოხსენებულის ოს-  
ტატობით და ორიოდ თვეში მეტს შოულო-  
ბდა, ვიდრე ასი ბრმა ერთ წელიწადს. მაგ-  
რამ ჩემ მოწყალე ბატონებმა ნება მიბოძონ  
მოგახსენო, რომ თუმცა ასეთი საშოვარი მოს-  
დიოდა, და წინად ნაშოვნაც ჰქონდა, არ მი-  
ნახავს ამისთანა ხარბი და ძუნწი ადამიანი:  
შიმშილით მკლავდა და მაკლებდა, რაც რამ  
ადამიანს მეტად ეჭირვება. ნამდვილ მართ-  
ალს მოგახსენებთ: ცბიერებითა და მოხერხე-  
ბით მე რომ ჩემი თავის შველა არ შემძლე-  
ბოდა, ბევრჯელ მომიხდებოდა შიმშილით სი-  
კვდილი. ოსტატობა და თადარიგიანობა იცო-  
და, მაგრამ ისე ვატყუებდი, რომ ყოველთვის,  
ან უფრო ხშირად მაინც, მეტი იერგებოდა  
ხოლმე.

ამის გულისათვის ეშმაკობას ჩავდიოდი.

ზოგიერთ ამბავს მოგახსენებთ, თუმცა ზოგი მათგანი ჩემი სასარგებლო არ გახლდათ.

პური და სხვა საჭმელი ტილოს პარკში ჰქონდა რკინის რგოლით ჭამოკრული და კლიტით დაკეტილი. როცა პარკში რისამე ჩადება ან ამოღება მოუნდებოდა, ისე ფრთხილად გაუხსნიდა პირს, რომ ქვეყანაზე ადამიანი ისე ვერ მოკრუნჩხავდა. მე მეძლეოდა იმდენი ულუფა, რომ ორჯერ ყბის მოქნევა კმაროდა. რაკი პარკს დაჰკეტავდა და დაწყენარდებოდა, ეგონა, შე რასმე გავერთე; ერთ მხარეს პარკს ნარღვევს გაუკეთებდი და მერე შეუკერავდი; ამ წუწკ პარკს გამოვწლავდი, რასაკვირველია, არა თუ გროშის პურს, გემრიელ ღორის და ძეხვის ნაჭრებსაც; მარჯვე დროს ვუცდიდი, მარტო პირის ჩატკობობისათვის კი არა, არამედ იმ წყეულ მოკლებულობისათვის, რომელსაც შემამთხვევდა ხოლმე შეჩვენებული ბრმა.

რასაც კი ფულს მოვახერხებდი ამეწაპნა — ნახევარ ბლანკებად (გროშიანებად) ვინახავდი; როცა ბრმას ლოცვას შეუკვეთდნენ და თითო ბლანკს (ორ გროშს) მისცემდნენ, სანამ მიმცემი გამოღებას მოასწრებდა, ის ნა-

წყალობევი ჩემს პირში ჩავიდოდა და წინად-ვე ხელში დამზადებული ნახევარ-ბლანკიანი თავის დანიშნულ ადგილას ჩნდებოდა; ასე რომ სანამ ბრმა ხელს გაუწოდებდა, ფული ჩემ დახურდავებას ეღირსებოდა და განახევრდებოდა; ბრმა არ ნეღავედა და მიმცემი არ ეუბნებოდა, თუ რამდენს იძლევა. ბოროტი ბრმა ხელში გასინჯვით მაშინვე ატყობდა, რა ფულია და რაკი შეატყობდა, მთელი ბლანკიანი არ არისო, იტყოდა ხოლმე:

— დალახვროს ღმერთმა ეშმაკი! რაც შენ ჩემთანა ხარ, სულ ნახევარ ბლანკიანს იძლევიან, ადრე კი რამდენს იძლეოდნენ მთელ ბლანკიანებს და ზოგჯერ მარავედსაც! ცუდი ფეხი გქონია.

ამის გამო ლოცვებს ამოკლებდა და შუაზე ჰყოფდა. ნაბრძანები მქონდა, კალთა ჩამომწიე, რაკი ლოცვის შემომკვეთელი წავიდესო. მეც ისე ვიქცეოდი. მერმე სხვებს დაუწყებდა ძახილს:

— მოხედეთ უსინათლოს. ესა და ეს ლოცვა ათქმევინეთ.

ჩვეულებადა ჰქონდა გვერდით დოქით ღვინო მოედვა. საჩქაროდ ხელს ვტაცებდი, ორიოდჯერ ჩუმად მოვიყუდებდი და ისევ თავის ადგილას დავდგამდი. მაგრამ ამან დიდებანს არ გასტანა, ამიტომ რომ, ყლაპის თვლახე ატყობდა, რამდენი დაჰკლებია. ამ დღიდან ხელიდან არ უშვებდა დოქს, ყურით ეჭირა და წინ იდგამდა. მაგრამ ისე რა ანდამანტის ქვა მიიზიდავდა რკინასა, როგორც მე წინაღვე მომზადებულის გრძელი ჩალის მასრით ვწოვდი ღვინოსა; ჩაუშვებდი მასრას დოქში, ვწოვდი ნუნუას და ბრმა გაცრუებული მრჩებოდა. ბრმა ეშმაკი კაცი იყო და, როგორც მგონია, მიმიხვდა. ახლა კიდევ სხვა გვარად შესცვალა თავისი მოქმედება: დოქს ფეხებ შუა იდგამდა და პირზე ხელს აფარებდა. ამ რიგად გული დაიმშვიდა. მე კი ღვინოს შევეჩვიე რალა ვამაძლებინებდა? რაკი ჩალის მასრა ველარაფერს მიშველიდა, მოვიფიქრე გამოუფხიკო დოქს ძირში პატარა ნახვრეტი და თაფლის სანთლის წმინდა ფირფიტა დავაკრა. სადილობისას მოვიმცივანებდი, თავს უბადრუკ ბრმის ფეხთან მივიწევდი,

ვითომ პატარა ცეცხლთან გასათბობად. სიმ-  
ხურვალით სანთლის ფირფიტა მალე დნებო-  
და, რადგან თხელი იყო და ღვინის ნაკადული  
პირში ჩამომდიოდა პირდაპირ, ისე რომ ერთი  
უკუღმართი წვეთიც კი არ გამეპარებოდა.  
მერმე ბრმა რომ მოიყუდებდა და ველარა-  
ფერს დაღევდა, ანჩხლობდა, ილანძლებოდა,  
დოქსაც სწყევლიდა და ღვინოსაც, ვერ ესმო-  
და, ღვინოს რა ემართებოდა.

— ახლაც იტყვიტ, ბიძიავე, რომ შენა  
სვამო? დოქი ხომ ხელში გიჭირავს.

ბრმამ დოქს დაუწყო შინჯვა ხელითა.  
ატრიალა, ატრიალა და ძირში ნახვრეტი  
უპოვნა, მიმიხვდა ოინს, მაგრამ არ შვიმჩნია,  
ვითომ ვერაფერი შევიტყეო. აი მეორე დღეს  
ჩვეულებრივად მიუცოცდი ჩემს დოქს, არ  
მოველოდი, რომ უბედურება უნდა დამტე-  
ხოდა თავს და არ მეგონა, რომ ბრმას ყველა  
ეყურება. გულალმა დავწეჭი, როგორც წინად  
და ტკბილად სასას ვისველებდი თვალ-მოჭუ-  
ტვით, რომ უფრო უკეთესად გავიგო ღვინის  
გემო. ამ დროს თურმე ის სათოკე ბრმა საგო-  
ნებელში იყო, — ახლა სწორედ კარგი დროა

სამაგიერო გაღუბადოვო. ასწია ორის ხელსთ  
ეს ნატკბილარი და გასამწარებელი დოქი და  
რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხვირპირში  
დამცხო. არ მოელოდა საცოდავი ლაზარე  
ამისთანა ამბავს, პირიქით, როგორც ადრე  
თავისებურად მხიარულ გუნებაზე იყო. ახლა  
კი მართლა ასე მოეჩვენა, ცა და რაც მასზე  
არის, სულ ერთიანად თავზე ჭამატყდაო.

ისე ღონივრად მომხვდა, რომ გონება და  
ცნება დამეკარგა. დოქი ისე დიდი იყო, რომ  
ნამტვრევებმა სახე დამიკაწრა რამდენსამე  
ალაგას და რამდენიმე კბილი ჩამიშტვრია,  
რომელიც დღესაც მაკლია.

ამ დღიდან განვიზრახე ავის გადახდა.  
თუშეცა ვუყვარდი, მიაღერებდა ხოლმე, მი-  
ლოლავებდა, მაგრამ კარგა ვხედავდი, რომ  
იამებოდა. ჩემი დასჯა. დაკაწრული სახე  
ღვინით გამბანა და თან დამიწყო დაცივნა:

— როგორ მოგწონს, ლაზარეკა? რამაც  
გატკინა, მან მოგარჩინაო.

ამისთანა ხუჭრობას და ამგვარებს მიარა-  
კებდა, გულს მიმწარებდა. ეშმაკეულ დასჯისა  
და დაჩეჩქვისაგან გუნებაზე არ ვიყავი; მოვი-

საზრე, რომ უწყალო ბრძას რაკი ამგვარის შემოკვრით ჩემი თავიდან მოშორება შეუძლიაო, მე თვითონ მოვიწადინე იმისაგან თავი გადამერჩინა, მაგრამ მაშინვე ასე არ მოვიქეცი, რომ უკეთესად მოშეგვარებინა გაქცევა უფრო სარგებლობით და სარგოთი. მე კიდევაც გულს გავიმაგრებდი, ვაპატიებდი დოქსაც, მაგრამ ვერ დავუთმობდი ავობას. იმ დღიდან სულ უბრალოზე მირტყამდა, თავში მცჭმდა და თმებს მიწევდა. თუ ვინმე ჰკითხავდა, აგრე ავად რად ეპყრობიო, მაშინათვე დოქის ამბავს ჩამოუარაკებდა და ამასაც დაუმატებდა:

— ზქვენ გგონიათ, ეს ბიჭი უსუსური რამ არის? აბა მოისმინეთ და ბძანეთ; თვით სათაელი - ეშმაკი მოიგონებს განა ამისთანებს?

მსმენელნი პირჯვარს გადიწერდნენ და იტყოდნენ: საოცარი რამ ყოფილა; აბა ვინ იფიქრებს, რომ ასეთი პაწია ბალლი ესე წამხდარი ყოფილიყვესო.

ძალიან იცინოდნენ ჩემ ოსტატობაზე და ეტყოდნენ:

— ასწავლე, ჭკუაზე მოიყვანე, ღმერთი გადაგიხდის!

და მართლა ბრმა სხვას არაფერს აკეთებდა.

ამის სმაგიეროდ მეც სულ განგებ ოღრო-ჩოღრო გზებზე ვახეტებდი, რომ გულზე მომეყვანა და გამეჯავრებინა. საცა ღორღიანი ალაგი შემხვდებოდა, იქ გავატარებდი; თუ ტალახი იქნებოდა, შუა ტლაპოში შემეყვანდა. მართალია, მე თითონაც მშრალზე გასვლა არ მიხთებოდა, მაგრამ სიხარულით ერთ თვალს გამოვითხრიდი, ოღონც ორივე თვალი გამო-სძრომოდა ამ კაცს, რომელსაც არც ერთი არ ებადა. ამისთვის ის მუდამ გძელი ჯოხის წვერს კისერში მიძგერებდა, ასე რომ სულ კოპებით და ჩქმეტით ხორცი ნაჩეჩქი მქონდა. ვეფიცებოდი რჯულსა და ღმერთს, რომ ავ-გულობით არ ჩავდივარ-მეთქი, ამაზე უკეთესი გზა ვერ მიპოვნია-მეთქი, მაგრამ ფიცი არა-ფერს მშველოდა, ამიტომ რომ არა სჯეროდა. ეს ავი სული ყველაფერს სუნით შეიტყობდა და მეტის-მეტი მიმხვდარი გონებისა იყო. თქვენს მოწყალებას რომ მოხსენდეს, რა შორ-

მხედველი ჰკუის პატრონი იყო ეს ვერაგი ბრმა, მრავალთაგანს ერთ ამბავს მოგახსენებ, რომელიც ჩემი თვალ-წინ მოხდა. მე მგონია კარგა დაინახავთ, რა დიდი ვერაგობა შეეძლო.

სალამანიკიდან რომ გამოვედით, ტოლედოში ეპირებოდა წასვლას, ამიტომ, რომ ხალხი იქ უფრო შეძლებულიაო, თუმცა კი მოწყალეების გაღებაზე გულ-უხვობა არ იცისო. ანდაზას ემყარებოდა: „პურა-ჭვირს მეტს გამორჩები შიშველზედაო“. შევუდექით გზას და საუცხოვო ადგილები გავიარეთ. საცა კარგი საშოვარი გვქონდა, შევჩერდებოდით; საცა არა გვქონდა, მესამე დღესვე მოვკურცხლავდით. ამასობაში რთვლობას მივადეგით ერთ სოფელს, სახელად ალმოროცს. ვენახის პატრონმა ბრმას ერთი მტევანი უწყალობა. რადგანც ამ დროს ყურძენი მეტად მწიფეა და კალათებში დაურევრათა ჰყრიან, მტევანს მარცვალს სცვიოდა, პარკში სულ გაიწურებოდა და აი ამიტომ ბრმამ მოისურვა ჩემი მოლხენა, რადგანაც, ამ დღეს ბედმა ბევრი

კინწში წაკვრა და მუჯლუგუნი მარგუნა. ხევ-  
ში დავსხედით, ბრმამ მითხრა:

— დღეს მინდა გულ-უხვობა გაჩვენო. ეს  
მტევანი ერთადა ვქამოთ, შენც იმდენი გერ-  
გოს, რამდენიც მყო. ასე გავიყოთ, ერთი მარ-  
ცვალი შენ მოსწყვიტე, მეორეს მე, ამ პირო-  
ბით, რომ თითო ჯერზე ერთ მარცვალზე მე-  
ტი არ მოგლიჯო. მეც აგრე მოვიქცევი, სა-  
ნამ გავათავებდეთ; ამ გვარად ერთმანეთის  
მოტყუება არ იქნებაო.

შევუდექით ამისთანა პირობით ჭამას; მა-  
გრამ მეორე ჯერობაზე იმ შეჩვენებულმა პი-  
რობა შესცვალა და ერთი მარცვლის მაგიერ  
ორ-ორს ჰგლეჯდა; ეჭვი აიღო ჩემზე, რომ  
მეც ისე ჩავდიოდი. რაკი ვნახე პირობა და-  
არღვია, არ დავჯერდი თანასწორად მოვ-  
ქცეულიყავი. პირველად რომ ორ-ორ მარ-  
ცვალს ვწყვეტდი, მერმე სამ-სამს, მასუკან,  
რამდენიც მომხვდებოდა. მტევანი გავათავეთ  
პატარა ხანს კლერტო ხელში ატრიალა, თავი  
გაიქნია, და თქვა:

— ლაზარე, შენ მე მომატყუე. ღმერთმანი,  
შენ სამ-სამი მარცვალი გიჭამიაო.

— არა, არ მიჭამია-მეთქი. აბა რაზე მბრალებ მავასა?

ვერაგმა ბრმამ მიპასუხა:

— იცი რატომ ვხედავ, რომ სამ-სამი გიჭამია? იმიტომ, რომ ხმა არ ამოიღე, როდესაც მე ორ-ორსა ვჭამდი.

— ჩემად ჩამეცინა. თუმცა ბალლი ვიყავი, ბრმას კარგა შევამჩნიე, რომ მიმიხვდა. მეტი რომ აღარ გავაგრძელო, ბევრ ამ გვარ საცინელ და საინტერესო ჩემ ნახულის აღარ ვილაპარაკებ, რაც კი ამ პირველ ჩემ ბატონთან მინახავს. მხოლოდ ერთ უკანასკნელ ისტორიას მოგახსენებთ და ამით გავათავებ.

ჩამოვხტით როგორღაც ერთ მეხაშესთან ესკალონის ქალაქში (იქაურ მთავრის ქალაქში); ძეხვი მომცა შესაწველად. ძეხვი რომ ცეცხლზე იწვოდა, ამოიღო ქისიდან ერთი მარავედი,—სირაჯისაგან ღვინო მომირბევინო. ალბად ეშმაკს მოუნდა განსაცდელში ჩავეგდე; მართალი ნათქვამია: „საქონელს ცუდად ნუ დასდებ და ქურდს ცოდვაში ნუ ჩააგდებო“. კერასთან ნიახურის თავი ეგდო, მოგრძო და დამქნარი, ისეთი, რომ წვეწვში

მოსახარშად არ ევარგებოდა, ამიტომ გადაე-  
ეგდოთ.

ჩვენს გარდა იქ არავინ იყო. ძალიან მა-  
დაზე მოვედი, რაკი ძეხვის საამური სუნი მო-  
ველინა ჩემს ცხვირს; ვიგრძენ, რომ მეტად  
მომალხენს მეთქი. აღარათფერს დავდიე, შიშიც  
გულიდან გადამივარდა, ოღო.მც კი წადილი  
ავისრულო-მეთქი; სანამ ბრმა ფულს ამოიღე-  
ბდა, გამოვაძრე საჩქაროდ ძეხვი შამფურს და  
ავაგე ზედ ის ნიახურის თავი. ბატონმა ფული  
გადმოშცა, შამფური გამოძართვა და დაუწყო  
ცეცხლზე ტრიალი, რომ შესწვას რაც თავის  
ღირსებით ხარშვას გადარჩენოდა. წაველ  
ღვინისთვის და გზაზე აღარ დავაგვიანე  
ძეხვს გხლებოდით. დავბრუნდი. და ვნახე,  
რომ მრავალ-ცოდვილ ბრმას ხელში ეჭი-  
რა პურის ორ ნაჭერში ჩადებული ნია-  
ხურის თავი, რომელიც ჯერ არ ეგემა და  
ხელით არ გაესინჯა. შეუდგა ჭამას და პური  
რომ მოკბიჩა, თან ძეხვის ნაჭერიც ეგულე-  
ბოდა, მაგრამ გაშეშდა, რაკი პირში ცივი,  
სველი ნიახურის თავი მოხვდა; გაანჩხლდა  
და დაიყვირა:

სასაც და ამ შემთხვევასაც. მაყურებლები იმდენს ხარხარებდნენ, რომ ქუჩის მიმავალი ხალხი სეირს უყურებდა. ბრმა ისე მარჯვედ და ენა წყლიანად ლაპარაკობდა ჩემს ოინებს, რომ მე თვითონაც მწარედ გალახულს და ცრემლიანს უადგილოდ მეგონა არ! გამეცინა. სანამ ეს სეირი ხდებოდა, გულში ვფიქრობდი ჩემს უშნოობას და თავს ვიწყევლიდი, რატომ უცხვიროდ არ დავტოვე მეთქი იმისთანა მარჯვე დროს; ნახევარი გზა გამოვლილი ჰქონდა, ერთი მაგრა კბილი უნდა დამეჭირა, რომ ბრმას ცხვირი მახეში დარჩენოდა და ჩემ კუჭს იქნება ძეხვზე უკეთესად შეეთვისა. ცხვირის დაკარგვით ყველაფრის უარის თქმაც შემეძლო, რასაც ახლა მკითხავდნენ. ღმერთს რომ ენებებინა ამისი ასრულება, მაშინ რაც უნდა ყოფილიყო, ის არ გადამხდებოდა, რაც მოხდა.

მეხაშის პატრონმა და იქ მყოფებმა შეგვარიგეს, პირისახე და ყელ-კისერი დამბანეს ღვინით, რომელიც ბრმას სასმელადა ჰქონდა. ბრმა ამაზე ხუმრობდა:

— ღმერთმანი, ერთ წელიწადს ამ ბიჭი დასაბანად მეტი ღვინო უნდება, ვიდრე ესასმელად ორ წელიწადსაო. მაინც და მაინც, ლაზარე, შენ ღვინის მადრიელი უფრო უნდა იყვე, ვიდრე მამიშენისაო; ამიტომ, რომ იმას ერთხელ მოუცია შენთვის სიცოცხლე, ღვინოს კი ათჯერ მოუბრუნებიხარო.

ახლა მოჰყვებოდა ამბავს, რამდენჯერ ჩემთვის თავი გაუტეხია და პირისახე დაუკაწრავს და ღვინით რა მალე მოურჩენივარ.

— მე შენ გითხრა, — მეტყოდა ხოლმე, — თუ ქვეყანაზე არის ვინმე ღვინით გაბედნიერებული, შენა ხარო.

ძალიან ეცინებოდათ ამაზე, ვინც კი წყლულებსა მბანდა. და მართლა იმისი ნათქვამი ტყუილიც არ იყო. შემდეგ ხანებში ბევრჯერ მომგონებია ეს კაცი, რომელსაც უეჭველია წინასწარმხედველობის ნიჭი მომადლებოდა და სვინილისი მტანჯავს რომ ვაჯავრებდი, თუმცა კი სამაგიეროს გადახდა იყო. რაც იმ დღეს მითხრა, ბედმა მოინება ნამდვილად ასრულებულიყო. ამაზე თქვენს მოწყალებას შემდეგ მოხსენდება.

სასაც და ამ შემთხვევასაც. მაყურებლები იმდენს ხარხარებდნენ, რომ ქუჩის მიმავალი ხალხი სეირს უყურებდა. ბრმა ისე მარჯვედ და ენა წყლიანად ლაპარაკობდა ჩემს ოინებს, რომ მე თვითონაც მწარედ გალახულს და ცრემლიანს უადგილოდ მეგონა არ! გამეცინა. სანამ ეს სეირი ხდებოდა, გულში ვფიქრობდი ჩემს უწნოობას და თავს ვიწყევლიდი, რატომ უცხვიროდ არ დავტოვე მეთქი იმისთანა მარჯვე დროს; ნახევარი გზა გამოვლილი ჰქონდა, ერთი მაგრა კბილი უნდა დამეჭირა, რომ ბრმას ცხვირი მახეში დარჩენოდა და ჩემ კუქს იქნება ძეხვზე უკეთესად შეეთვისა. ცხვირის დაკარგვით ყველაფრის უარის თქმაც შემეძლო, რასაც ახლა მკითხავდნენ. ღმერთს რომ ენებებინა ამისი ასრულება, მაშინ რაც უნდა ყოფილიყო, ის არ გადამხდებოდა, რაც მოხდა.

მეხაშის პატრონმა და იქ მყოფებმა შეგვარიგეს, პირისახე და ყელ-კისერი დამბანეს ღვინით, რომელიც ბრმას სასმელადა ჰქონდა. ბრმა ამაზე ხუმრობდა:

— ღმერთმანი, ერთ წელიწადს ამ ბიჭი დასაბანად მეტი ღვინო უნდება, ვიდრე ესასმელად ორ წელიწადსაო. მაინც და მაინც, ლაზარე, შენ ღვინის მადრიელი უფრო უნდა იყვე, ვიდრე მამიშენისაო; ამიტომ, რომ იმას ერთხელ მოუცია შენთვის სიცოცხლე, ღვინოს კი ათჯერ მოუბრუნებიხარო.

ახლა მოჰყვებოდა ამბავს, რამდენჯერ ჩემთვის თავი გაუტეხია და პირისახე დაუკაწრავს და ღვინით რა მალე მოურჩენივარ.

— მე შენ გითხრა, — მეტყოდა ხოლმე, — თუ ქვეყანაზე არის ვინმე ღვინით გაბედნიერებული, შენა ხარო.

ძალიან ეციინებოდათ ამაზე, ვინც კი წყლულებსა მბანდა. და მართლა იმისი ნათქვამი ტყუილიც არ იყო. შემდეგ ხანებში ბევრჯერ მომგონებია ეს კაცი, რომელსაც უეჭველია წინასწარმხედველობის ნიჭი მომადლებოდა და სვინილისი მტანჯავს რომ ვაჯავრებდი, თუმცა კი სამაგიეროს გადახდა იყო. საც იმ დღეს მითხრა, ბედმა მოინება ნამდვილად ასრულებულიყო. ამაზე თქვენს მოწყალებას შემდეგ მოხსენდება.

ამისთანა დაბრიყვების გამო, გულში გადვიწყვიტე, რაც უნდა მოხდეს, თავი დავანებო; წინადაც ვფიქრობდი და ვაპირებდი ძიდეც, მაგრამ მოულოდნელი მისი საქციელი, ხუმრობად აღარ ჩავთვალე და ჩემ გადაწყვეტილებას დამამკვიდრა.

მოხდა ასე, რომ მეორე დღეს მოწყალეზის სათხოვნელად მოვიარეთ ქალაქი. წინა ღამეს დიდი წვიმა მოვიდა; ახლაც მოდიოდა. ამიტომ ბრმა საყდრის კარ-ბჭეს ქვეშ ლოცულობდა, საცა კი ბევრი ხალხი იყო და წვიმა არ გვასველებდა. რაკი საღამომ მოატანა და წვიმა გადალებას არ აპირებდა, ბრმამ მითხრა:

— ლაზარია, ეს წვიმა პირ-შეუღებლად მოდის და დაღამებამდე თან-და-თან უმატებს; ადრევე წავიდეთ მეხაშესთან, თავი შევაფაროთო.

სანამ იქ მივიდოდით, პატარა წყალზე უნდა გაგვევლო, რომელიც დიდი წვიმისაგან აღიდებულიყო. ბრმას ვუთხარი:

— ბიძია, წყალი აქ ძალიან განივრად მოდის; თუ გინდა, იქით წავიდეთ, მშრალად

გასავლელი ადგილი მოჩანს, წყალი ვიწროა; ასე რომ გადავხტებით და ფეხებს არ დავისველებთ მეთქი.

ჩემი რჩევა მოეწონა და მითხრა:

— კაი გულისხმა გაქვს, ამიტომ მიყვარხარ. წამიყვანე საცა წყალი ვიწროვდება. ახლა ზამთარია და წყალი მოსარიდებელია, მეტადრე თუ ფეხი დაგისველდა.

ახლა ვნახე ჩემი წადილის ასრულება შიახლოვდებოდა; გამოვიყვანე ბრმა კარ-ბჭიდან, მივიყვანე მეოდანზე და ერთ სვეტის პირდაპირ, რომელზედაც სახლის თაღები იყო სხვა სვეტებთან გადაბმული და ვუთხარი:

— ბიძია, ამ ადგილს წყალი უფრო ვიწროა-მეთქი. რადგანაც ძალიანა წვიმდა, უბადრუკი ბრმა სველდებოდა და გვეჩქარებოდა ღვარს გადავრჩენოდით; რაკი ღმერთმა ბრმას გონებაც დაუბრმავა, რომ მაგიერი გადამახდევინოს, ბრმამ დამიჯერა და თქვა:

— დამაყენე როგორც საჭიროა და გადახტით.

ის სვეტის პირდაპირ დავაყენე და მე გადავხტი. სვეტს მოვეფარე ისე, როგორც გამხეცებულ ხარს მოერიდებოან და დავუძახე:

— რამდენიც კი შეგიძლია, მალლა ახტი, თუ გინდა რომ პარდაპირ აქეთ გაჩნდე.

სიტყვა არ გამეთავებინა, რომ უბედური თხასავით წამოვიდა, ერთი ბიჯით დაიხია უკან დიდი ნახტომის გასაკეთებლად და ლონივრად გამოეჩანა. თავი მიანარცხა სვეტს, რომელმაც ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს დიდი კვახის საღვინე იყოსო და ცოცხალ-მკვდარი თავ-გატყნული პირქვე დაეცა.

— აბა როგორია? ძეხვსა სუნავდი, ახლა არ ინებებ, სვეტს უსუნო? უსუნე, უსუნე მეთქი.

მივანებე ხალხს, რომელიც საშველად მო-რბოდა და მოვკურცხლე ქალაქის გალავნის კარისკენ. ჯერ არ დაღამებულ იყო, რომ ტერრიზოში ამოვყავ თავი.

არ ვიცი ბრმას რა დაემართა და არც ვცდილობდი შემეტყო რამე.

## თავი მეორე

**როგორ ცხოვრობდა ლაზარე მღვდელ-  
თან და რა გადახდა თავსა.**

ტერრიხოს ქალაქში ყოფნა ძალიან სამ-  
შვიდობოდ არ მიმაჩნდა, წავედი დაბაში, სა-  
ხელად მაკედას; იქ ჩემმა ცოდვამ მღვდელს  
შემახვედრა. მოწყალება რომ ვთხოვე, მან  
მკითხა, წირვაზე შევლა ხომ არ იციო? ვიცი-  
მეთქი და მართალიც ვუთხარი, ამიტომ, რომ  
სულ წაწყმენდილი ბრმა თუმცა ავად მეპყრო-  
ბოდა, მრავალ გამოსადეგ რაგინდარას მას-  
წავლიდა და ესეც მასწავლა. ლაპარაკი იმით  
გათავდა, რომ ხუცესმა ამიყვანა და მე, ვაის  
გამყრელი, ვუის შევეყარე. რაც გიამბეთ  
ბრმის სიძუნწისა, ის ალექსანდრე მაკედონელ-  
სავით გულ-უხვი იყო მღვდელთან შედარებით.  
თითქოს მთელი ქვეყნის პურაძვირობა ამ

მღვდელში მოთავსებულიყოსო. არ ვიცი, დაბადებით დაჰყოლოდა თუ ანაფორასთან შეეძინა.

ერთი ძველი კიდობანი ჰქონდა დასაკეტი, გასაღებს თან ატარებდა თასმით შეკრულს. საყდრიდან რომ პური მოუვიდოდა, მაშინათვე თავისის ხელით ჩააწყობდა კიდობანში და დაჰკეტავდა. მთელი სახლი რომ გადაგებრუნებინათ, ერთ ლუკმა რასმე ყბის მოსაქნევს ვერ მონახავდით, როგორც ყველგან ხედავთ რასმე: ღუმის ნაჭერს, ჩაშოკიდებულ ხორცს, ყველის ნაჭერს მაგიდაზე ან განჯინაში, ან ნასუფრალს პურს კალათაში. მე რომ რამე არ ამეწაპნა, მგონია მარტო ერთი საჭმელის დანახვასაც კი ღონე მოეცა.

მთელ სახლში მარტო ხახვის ასხმა ეკიდა მაღლა კრამიტში, ისიც დაკეტილში. ამ ასხმიდან ოთხი დღის ულუფად თითო თავი მეძლეოდა. თუ ვინმე იქნებოდა ჩვენსა იმ დროს, როდესაც ულუფის თხოვნა მომიხდებოდა, სარტყელზე ფრთხილად მოიხსნიდა გასაღებს, მომცემდა და მეტყოდა:

— დაიჭი და მალე მომიტანე, თორემ ღორ-მუცლობის მეტს არაფერს მიკეთებო.

თითქოს ამ გასაღებს მთელი ვალენსიის სანოვაგე ხელში ეჭიროსო. იქ იმ დაწყევლილ კრამიტში არაფერი არ იპოვებოდა ჩამოკიდებული ხახვის მეტი, ისიც კი დათვლილი ჰქონდა და ძვირად დამიჯდებოდა, რომ ღმერთი გამწყრომოდა და დანიშნული რიცხვი მომეშალა. ერთის სიტყვით, სწორედ შიმშილით ვკვდებოდი.

ვერაფერში ჩანდა, რომ მღვდელი ჩემი მწყალობელი ყოფილიყო, მაგრამ თავიწათვის კი უფრო გულ-უხვი ბძანდებოდა. ჩვეულებრივი მისი ჯერი სადილ-გახშმისათვის ხუთი ბლანკის ხორცი იყო; მართალია, აქედან ჩემ ულუფად წვენს მარგუნებდა, რომელშიაც, ესეც სათქმელია, თვალის კაკლის ოდენი ხორცი მოჰყვებოდა, და მას გარდა ცოტაოდნე პური; მხოლოდ ღმერთი მყვანდა მწყალობელი, რომ გამაძლებინა. იმ ადგილს ჩვეულება აქვთ შაბათობით ცხვრის თავსა სჭამენ და ხუცესმა გამგზავნა ერთი თავის საყიდლად, რომელიც სამ მარავედად იყიდებოდა. მოხარშა, შესჭამა თვალე-

ბი, ენა, კისერი, ტვინი და ხორცი, რაც ყბაზე ეკრა; მერმე თეფშზე დაყარა ნარჩენი ძვლები, მომცა და მითხრა:

— აჰა, სჭამე და გაიხარე, რომ ქვეყანაზე იმყოფები; შენ უფრო კეთილ-ცხოვრებაში ხარ, ვიდრე თვით პაპაო.

„ღმერთმა შენ მოგცეს ასეთიო“, — გულში ვთქვი.

სამი კვირა თავდებოდა, რაც მე მასთან ვიყავი. ისე დავსუსტდი, რომ ფეხზე ველარ დავმდგარვიყავი. ცხადად ვხედავდი, რომ პირი საფლავისაკენ უნდა მექნას, თუ კი ღმერთი და ჩემი სიმარჯვე არ მომეხმარება. ხელში არაფერი მქონდა, რომ მომეხმარებინა და თუნდაც მქონოდა ჩემ წინანდელ ბატონსავით (სასუფეველი დაუმკვიდროს, თუ მოკვდა ჩემის მიზეზით), ხომ არ დავაბრმავებდი, რომელსაც თავის დღეში არ ვენახე, რადგან ძვირფას მხედველობის გრძნობას მოკლებული იყო. ეს კი ისეთი კაცი იყო, რომ ამისთანა მჭრელი თვალის პატრონი სხვა არ მოიპოვებოდა. საკუროთხეველთან რომ ვიდექით, ერთი ბლანკიანიც კი არ გამოეპარებოდა განზანაჯ-

ში ჩაგდებული. ერთის თვალით მრევლს უც-  
ქეროდა, მეორეთი მე; ყოველთვის თვლა არ  
შესცდებოდა, რამდენი ბლანკია მოცემული.  
და რა-კი წირვას გაათავებდა, მაშინათვე  
თეფშს გამომგლეჯდა ხელიდან და საკურთხე-  
ველზე დასდებდა. ამ გვარად მას აქვთ რაც  
იმასთან ვცხოვრობდი ან უკეთესად რომ ვთ-  
ქვა, ვკვდებოდი, ღონე არ იყო ერთი ბლან-  
კი ამეწაპნა. არც ერთხელ იმისთვის ღვინო  
არ მიყიდნია სირაჯისაგან ერთი ბლანკისა  
მაინც; ჩვეულებრ რაც წირვას გადარჩებოდა,  
იმას სჯერდებოდა, 'კიდობანში ინახავდა,  
მთელ კვირას იზოგებდა. თავის გაუმაძღარ  
სიხარბის გასაქარწყლებლად იტყოდა ხოლმე:

— უნდა გესმოდეს, ბალო, მღვდელი თა-  
ვდაქერილი უნდა იყოს ჭამა-სმაში; ამიტომ  
აღვირ-აშვებით არ ვიქცევი, როგორც სხვები.

ის საძაგელი ურცხვად ცრუობდა. ამიტომ  
რომ მღვდლების სადილზე ან ქელებში სხვის  
სუფრაზე ისე სჭამდა, როგორც მგელი და  
არც სხვებზე ნაკლები გადაკვრა იცოდა.

ქელები ვახსენე. ღმერთო შეგცოდე და  
მომიტევე მისთვის, რომ ჩემ ღღეში კაცთ ნა-

თესაობის მტერი არ ვყოფილვარ. მაშინ კი სურვილი მქონდა და ღმერთსაც ვევედრებოდი, დღეში თითო კაცი მაინც მკვდარი გვყოლოდა; ამიტომ რომ ქელებში კარგა შევექცეოდით და მეც მუცელი მაძლარი მქონდა. როდესაც ვლოცულობდით ავადმყოფისათვის, მეტადრე ბოლო-ზეთის ცხებაზე, იქ მყოფთ რომ მღვდელი ალოცებს, ჩიმი ლოცვაც ნაკლები არ იყო; მხურკალეს გულით და სულით ვევედრებოდი ღმერთს იმას კი არა, როგორც იტყვიან ხოლმე, ნება შენი აღსრულდესო; ვევედრებოდი რომ ცოდვილ სააქაოს მოაშორემეთქი. ზოგი ავადმყოფი რომ მორჩებოდა, ღმერთო შეგცოდე, ათას ჯერ დავსწყევლიდი, ჯანაბას ვგზავნიდი, და ვინც კიკვდებოდა, რამდენ ლოცვა-კურთხევას ვუთვლიდი. რასაც ხანს იქ ვიმყოფებოდი, ექვსი თვე იქნებოდა, მოკვდა სულ ოცი კაცი და დარწმუნებული ვარ, ჩემით არიან მკვდრები, ანუ უკეთ ვთქვათ, ჩემის შუამდგომლობით დაიხოცნენ, ამიტომ რომ უფალმა ალბად მოხედა ჩემს საშინელს და ხანგრძლივს სულმობრძაობას და ინება რათა მათის სიკვდილით დამიხსნას მე. რაც მაშინ



სატანჯველი გამოვიარე, მეტი არ შეიძლებოდა. ამიტომ რომ მკვდრის დასაფლავების დღეს თუ ცოცხალი ვიყავი, მას მერმე თუ სხვა კარგი ჩემი მასპინძელი დასამარხი არ გვეყოლებოდა, ჩემ ჩვეულებრივ შიმშილს უნდა დავბრუნებოდი, უფრო უარესად მეგრძნო შიმშილი. აღარაფრის იმედი არა მქონდა ნუგეში მომეპოვა სიკვდილის მეტი, რომელსაც ხან და-ხან ვევედრებოდი ღმერთს ჩემთვისაც როგორც სხვებისთვის; მაგრამ სიკვდილი ვერ ვნახე, თუმცა კი მუდამ ჩემს გვერდით იყო.

ხშირად გულში გავივლიდი ამ გაუმაძღარ ბატონს გავქცეოდი, მაგრამ ორის მიზეზით ამ განზრახვას თაფს ვანებებდი. პირველად იმის გამო, რომ მუხლში ღონე აღარა მქონდა შიმშილისაგან და მეორედ ასე ვფიქრობდი:

„ორი ბატონი მყავდა: პირველი შიმშილით მკლავდა, იმას გავეყარე და ამას შევეყარე, რომელმაც სამარემდის მიმიყვანა,— ამასაც რომ გავექცე და უარესს შევხვდე, რაღა მეშველება სიკვდილის მეტი?“. აი რა იყო მიზეზი, რომ მეშინოდა ადგილიდან დავძრულიყავ: გული მეუბნებოდა, უარესს მო-

ელოდეო, ბოლოს საიქიოს ამოჰყობენ თავს საიდანაც ლაზარეს ამბავს ვერავინ მოიტანსო. ასე ამგვარად ერთხელ საგონებელში რომ ვიყავი, ღმერთმა, ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანის ტანჯვათა შემწევენელმა ინება მოავლინოს ჩემზე მხსნელი. ერთხელ, როდესაც ვერაფერი მომეგვარებინა თავს როგორ ვუშველო და ვხედავდი, რომ უფრო და უფრო გაჭირვებაში ვვარდები, ჩემი ბატონი შინიდან წავიდა; და ამ დროს როგორღაც ჩვენს კარს მოადგა ვიღაცა ზეინკალი. მე ვფიქრობ, რომ ღმერთმა ანგელოზი მომივლინა ზეინკალის სახით. მან მკითხა, ხომ არაფერი გაქვთ გასაკეთებელიო?

„ჩემ თავს ბევრი რამ აქვს შესაკეთებელი და ბევრი წვალეობაც მოგინდებოდა, თუ კი ჩემს მომართვას შეუდგებოდი-მეთქი“, — გულში ვიფიქრე, მაგრამ რადგანაც ბევრი დრო არ მქონდა, რომ ლაპარაკისათვის დამეკარგა, თითქოს სულის წმიდის ძალით თვალახელილმა დავუძახე:

— ბიძია, ამ კიდობნის გასაღები დამეკარგა და მეშინიან ბატონმა არა მცემოს. გე-

თაყვა, ნახე, თან რომ გასაღებების ასხმას ატარებ, იქნება გამოადგეს ერთ-ერთი და ფასს გადაგიხდი.

— ჩემმა ანგელოზ-ზეინკალმა აიღო თავისი ასხმული გასაღებები და ხან ერთი სინჯა, ხან მეორე: მეც ჩემის ულონო ლოცვით ვებმარებოდი. ჯერ გონს არც კი მოვსულიყავი, რომ ვიხილე, როგორც იტყვიან, თვით ხორცა უფლისა პურის სახით კიდობანში. კიდობანი რომ ღია ვნახე, ზეინკალს ვუთხარი:

— ფული არა მაქვს, საფასური მოგცე გასაღებისათვის, აქედან აიღეთ ფასი-მეთქი.

ამოარჩია უკეთესი პური და გასაღები მომცა მადლობით მე იმაზე უფრო მადლობელსა. სანამ იქ იყო, არაფერს არ მივეკარე, ეჭვის თვალით არ შემხედოს-მეთქი. ამას გარდა რა-კი ამ ქონების მფლობელი ვნახე ჩემი თავი, ახლა აღარ მეფიქრებოდა, რომ შიმშილს გაებედნა მომმახლოვებოდა. მოვიდა ჩემი ვაგლახი ბატონი, მაგრამ ღმერთმა თვალები აუხვია და ვერ შეიტყო, რომ ერთი პური ანგელოზ ზეინკალმა წაიღო.

მეორე დღეს ბატონი რომ შინიდან გავი-  
და, გავაღე ჩემი სამოთხის კიდობანი, ერთი  
პური ამოვიტაცე და დავკეტე; ხელითა და  
კბილებით ვგლიჯე ისეთის სიჩქარით, რომ  
ორ შირწამსის თქმაზე უმაღ გავათავე და დი-  
დის სიხარულით შეუდექი ოთახის დაგვასა;  
ასე მეგონა, ამ მოხერხებით სამუდამოდ ჩემი  
სიცოცხლე მწუხარებას გადავარჩინეო. მაგ-  
რამ თურმე ამისთანა ბედისა არა ჯყოფილ-  
ვარ, დიდხანს გავეტანე. მესამე დღეს სწო-  
რედ თავზარი დამეცა. როდესაც მოულოდ-  
ნელად კიდობანთან ვნახე ჩემი სულთა მხუ-  
თავი: კიდობანს სჩხრეკდა და ჰქექავდა; სთვა-  
ლა და გადასთვალა პურები. მე კი თავი  
ისე მეჭარა, ვითომც არაფერს დავდევ, მაგ-  
რამ გულში ვიწყევლებოდი და ვლოცულობ-  
დი: „წმინდაო იოანე, თვალი აუხვიე!“ კარგა  
ხანს ანგარიშობდა და თითებზე ითვლიდა  
დღეებს. რო გაათავა, მითხრა:

— ამისთანა მაგარი კლიტე რომ არა ჰქო-  
ნოდა კიდობანსა, ვიტყოდი, აქედან პური  
მოუპარავთო. დღეის იქით კლიტესაც დავ-

კეტავ და პურსაც ანგარიშით დავთვლი. ახლა რჩება ცხრა მთელი და ერთი ნაჭერი.

„ცხრა ჭირიმც მოუცია შენტვის ღმერთსა-მეთქი“,—გულში ვთქვი.

ასე მეგონა, მის სიტყვასთან გულში ისარი გამეყარა და კუჭმა წინდაწინვე დაიწყო წუხილი შიმშილისგან, რა-კი ვხედავდი, რომ ჩემი თავი ისევ აღრინდელ მთმენელობას ყმად უხდებოდა.

ბატონი შინიდან გავიდა; მე კი ჩემ ნუგეშად კიდობანი გავაღე და პურები რომ დავინახე, დავუწყე მხოლოდ ცქერა მოწიწებით: ხომ ვერ მივჭკარებოდი. დავუწყე თვლა, იქნება ჩემ ბედზე შესცდა-მეთქი; მაგრამ მისი ანგარიში უფრო ნამდვილი გამოდგა, ვიდრე რაც მე მესურვებოდა. არაფერი მეშველებოდა ამაზე მეტი, რომ ათასჯერ მეკოცნა და ნაჭერის პურის პლტყელი ყანჭი მომეთალა. ამგვარად ის დღე ისე მხიარულად ვერ გავატარე, როგორც წინა დღე. შიმშილი კი თანდა-თან ძალას მატანდა და ვკვდებოდი მეტადრე იმიტომ, რომ ჩემი კუჭი ორ-სამ დღეს მეტ პურს შეეჩვია. მარტო ყოფნის დროს

სხვა არაფერს ვაკეთებდი. ვალეზი და ვკეტავდი კიდობანს, ვუჭვრეტდი ამღვთის პირისახეებს, (როგორც ყმაწვილები იტყვიან სეფის კვერზე). ხოლო უფალმა ყოველთა დაჩაგრულთა შემწევნელმა იხილა ჩემი.—შევიწროებული მდგომარეობა და ჩამაგონა ერთი ღონე და ასეთი აზრები მომივიდა:

„ეს კიდობანი ძველია, დიდია და ზოგადაგას დამტვრეულიც; შიგა და შიგ დახვრეტილიც არის, თუმცა პატარ-პატარაა; ფიქრში მოუვა კაცს თავს გამოუხრავს, შესულა და პური წაუხდენიაო. მთელი პურის აწაპნა არ ვარგა, ამიტომ რომ თვლაზე შეატყობს ჩემი მტანჯველი: ასე კი იოლად გამოვალ“. და დაუწყე პურს ფხვნა ერთ სუფრაზე, რომელიც საიმისო ძვირკასი არ გახლდა. მერმე ამ პურს თავი დავანებე და მეორე პური ავიღე, ამგვარად სამ-ოთხ პურს გამოუფხვენ ნაპირები; მას უკან ეს ნამცეცეები აბებივით ვყლაპე და ცოტათი შეება მომეცა. ბატონი შინ მოვიდა სადილობას, გაალო კიდობანი და უსიამოვნო ამბავი ნახა. ეჭვი არ არის, იფიქრა, —თავების საქმეა ასე პურის წახდენაო,

ამიტომ რომ პურებს გვერდები ისე ჰქონდა გამოთხრილი, როგორც ნათაგვარია ხოლმე.

გასინჯა მთელი კიდობანი თავიდან ბოლომდის და იპოვნა რამდენიმე ნახვრეტი: აქედან შესულა თავვიო, დამიძახა და მითხრა:

— ნახე ლაზარე, ნახე, წუხელის ჩვენ პურებს რა დამართნიაო.

მე ძალიან გოცებულის სახით მოვიკატუნე ოავი და ვკითხე: რა უნდა იყოს-მეთქი? მან მიპასუხა:

— რა უნდა იყოს? თავვი ყველაფრის გამჩანაგებელი.

სადილს შევუდექით და ღმერთმა ინება ამაშიაც დამხმარებოდა. ბატონმა პური მეტი მომიჭრა და ჩვეულებრივ მოსაცემ ნასუფრალზე მეტი მიწყალობა, ამიტომ რომ რაც კი ნათაგვარი ადგილი ეგონა, სულ ამოსჭრა და გადმომცა ამ სიტყვებით:

— აჰა, სჭამე თავვი ხომ სუფთა პირუტყვია. ამგვარად იმ დღეს ჩემმა ულუფამ იმატა, რაიც ჩემი ხელის, ანუ უკეთ რომ ვოქვავთ, ჩემის ფრჩხილების საქმე იყო. გავათავეთ სადილი, თუმცა მართალი გითხრა არც-

კი დამეწყო. მალე ახალი თავზარ დასაცემი ელდა დამატყდა, როდესაც ვნახე, რომ ჩემი ბატონი ოთახში დადის, კედლებიდან ლურსმნებს აძრობს და ნაფოტებს ეძებს ძველი კიდობნის დასაკერებლად.

✓ ღმერთო ჩემო, ვფიქრობდი, მაშინ, რა უბედურ ვარსკვლავზე და ვაებაზე ვიბადებით ადამიანები და რა მოკლეა სიამოვნება მრავალ-ტანჯულის ჩვენის სიცოცხლისა. ვაი ჩვენი ბრალი! მე მეგონა ამ საცოდავის და უბადრუკის ღონისძიებით ჩემ ნაკლებულობას შევამსუბუქებ და ბედს ვეწვევი—მეთქი; ჩემმა შავმა ბედმა კი ეს არ ინება და ჩემ ავგულა ბატონს ჩააგონა მღვიძარება იმაზე მომატებულად, რაც კი სჭიროდა. ახლა კიდობნის დაკერებით კარს უკეტავს ჩემ ერთად ერთ ნუგეშს და უღებს სატანჯველსა“.

ასე ვჩიოდი იმ დროს, როდესაც ჩემმა ფხიზელმა ღურგალმა გაათავა თავისი მუშაობა უთვალავის ლურსმნისა და ნაფოტისა და თქვა:

— ახლა თქვენ, ბატონო ვერაგო თავვე-  
ბო, თქვენი ეშმაკობა უნდა შესცვალოთ, ამ-  
იტომ რომ ვერას გახდებით.

რაწამსაც შინიდან გავიდა ბატონი, მაში-  
ნვე ვეცი იმის ნამუშევარს და ვნახე, რომ  
მოველი ძველ უხეირო კიდობანს, ერი ხვრელიც  
არ დარჩენოდა დაუკერებელი, იმისთანაც კი,  
რომ ქინქლა შემძვრალიყო. ამ ჟამად გამოუ-  
სადეგარ ჩემ გასაღებით გავაღე კიდობანი,  
მაგრამ სარგებლობას აღარ მოველოდი. ორი-  
სამი გაჭრილი პური ვნახე, რომელიც ნათაგ-  
ვარი ეგონა ჩემ ბატონს: მაინც კი ფრთხი-  
ლად თითო ყანჭი მოვთაღე. ჩემისთანა შიმ-  
შილის დროს დღე და ღამ იმის ფიქრში ვი-  
ყავი, თავი როგორ ვირჩინო, და ვფიქრობ,  
რომ შიმშილი სწორედ მზის ნათელი იყო ღონე  
მეპოვნა. ამბობენ, შიმშილი ჭკუას ლესავსო და  
მაძღრობა კი უჩლუნგებსო,—მეც ასე დამემარ-  
ტოა.

ერთ ღამეს გამომეღვიძა ფიქრებისაგან,  
თუ როგორ ჩავიდო ხელში კიდობნის საუნჯე  
და მომესმა ჩემი ბატონის ძილში მალალი  
ხვრინვა და ფშვინვა. ფრთხილად ავდექი.

წინა დღესვე მოსაზრებული მქონდა, როგორ მოექცეულიყავი, ავიღე ძველი დანა, რომელიც ადრევე დანიშნულ ადგილას შევინახე და უბადრუკ კიდობნისკენ გავუტრე; დანა ბურღით ვუტრიალე მარჯვე მხარეს. რადგანაც ძველადან ნახმარი კიდობანი უღონო იყო, ფუტურო და ჭიისაგან ნაჭამი, მალე დავიყოლიე და გვერდი ჩემის წადილის კვალობაზე კარგა დიდად გამოუხვრიტე. ეს რომ გავათავე, ნელა გავაღე დაწყულულებული კიდობანი, ხელის ცაცეებით გაჭრილი პური ამოვიღე და წინანდებურად მოვიქეცი, როგორც მოგახსენეთ. ცოტათი გული რომ მოვიჯერიე, დაჯექტე კიდობანი და წავედი ჩემ ჩალაზე, მოვისვენე და ჩამეძინა, რაიცა იშვიათად მებედობდა; ამ ჟამად შიმშილს ვაბრალებდი. ასეც იყო, ამიტომ რომ ახლა საფრანგეთის მეფის ზრუნვაც ვერ გამოძალავებდა.

მეორე დღეს ჩემმა ბატონმა ნახა დაზიანებული კიდობნის პური და კიდობნის ნახვრეტი; დაიწყო თაგვის წყევლა:

— არ ვიცი რა ვთქვა? აქამდის ამ სახლში თაგვის ჭაჭანება არ ყოფილაო.

და ეჭვიც მეტია, რომ მართალს ამბობდა. ამიტომ რომ თუკი მთელ ქვეყანაში თავგისაგან თავისუფალი იყო ვისიმე სახლი, ეს ჩვენი სახლი იყო, რადგანაც თავგი ასეთ ადგილას არ არის, სადაც საკმელი არ მოიპოვება. მთელი სახლი გადააქოთა, კედლებზე ლურსმნები მოსძებნა და ნაფოტები დააკერა კიდობანს. დაღამდა და მასთან მყუდროება ჩამოვარდა. მე მალე ავდექი ჩემი იარაღით და რაც დღისით დააკერა, ღამე ჩოგშალე. ამ გვარად ჩვენ ორნი ისე ერთგულად შევუდევით ამ საქმეს, რომ ბეჯითად შეგეძლოთ გეთქვა: ერთი კარი რო იკეტება, მეორე იღებაო. ეს იმასა ჰგავდა, რომ თითქოს ჩვენ ორსავე პირობა გვქონდეს პენელოპას ქსელზე ერთად ვიმუშაოთო, ამიტომ რომ, ასე შეიძლება ვთქვათ, რასაც ის დღისითა ქსოვდა, მე ღამე ვარღვევდი. რამდენსამე დღეში უბადრუკი კიდობანი ისეთის სახისა გავხადეთ, რომ ვისაც კი ენახა, იტყოდა, კიდობანი კი არ არის, ძველი დროების ჩაჩქანიო, ისე იყო ლურსმნებით შექედილი.

ბატონმა რომანმა, ვერაფერი ღონისძიება ვერა შევლისო, ასე თქვა:

— ეს კიდობანი მეტად წახდა და დაფუტუროვდა, თაგვს ველარაფერი უძლებს. მაგრამ რაც უნდა ცუდი იყოს, უამისობა არ იქნება, და ახალს სამი-ოთხი რეალი მოუნდება. უკეთესი იქნება, როგორც მოვიფიქრე, გარედან თუ ვერაფერი ვუქენით, ახლა შიგნიდან მოვუხერხოთ რამე ამ წყეულს თაგვებსა.

მალე სხვისაგან ითხოვა მახე და ამ დღიდან გამართული კიდობანში ეგო. თაგვი რომ შემოიტყუოს, ყველის ნამცეცებს სთხოვდა მეზობლებს და უკეთებდა მახეს. ეს ყველი კარგა გამომადგა, ამიტომ, რომ თუმცა მადის მოსასვლელი საკმელი არ მეჭირებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით გიახლებოდი; ვიღებდი მახიდან და პურს შევატანდი ხოლმე. სახლის-პატრონი ხედავდა, პური თაგვს გამოუფხვნია, ყველი უჭამია და მახეს კი არ მოჰყოლია, იწყევლებოდა და მეზობლებს ჰკითხავდა:

— გაგიგონიათ ამისთანა ამბავი, თაგვს

ყველი უჭამია და მახეს კი არ გაბმულა, თუ-  
მცა კი მახე დაცემულა?

მეზობლები არწმუნებდნენ, თავი არ  
იქნება, თორემ მახეს მოჰყვებოდაო. ერთმა  
მეზობელმა თქვა:

— მე მახსოვს თქვენს სახლში გველი იყო-  
ვო და უეჭველად ის იქნებო. ჭკუასთანაც  
ახლოა, რადგანაც გველს გრძელი ტანი აქვს,  
მარტო თავს შეჰყოფს, პირს მოაფლებს ყვე-  
ლსა და გამოვა; მახე დაეცემა, მაგრამ, რა-  
დგანაც ტანი მახეს გარეთა აქვს, ადვილად  
თავს დაიძვრენს.

იმისი სიტყვა ყველამ დაიჯერა და ჩემი  
ბატონი ისე დაშინდა, რომ მას შემდეგ რი-  
გიანი ძილი არ მოსვლია; ღამე ფიცარში ჭიის  
ხმას რომ ყურს მოჰკრავდა, გველი ეგონა,  
მაშინვე ფეხზე წამოხტებოდა, აიღებდა თავ-  
ქვეშ მომზადებულ ჯოხს და ურტყამდა ლო-  
ნივრად საცოდავ კიდობანს, გველს დავა-  
ფრთხობო. ხმაურობა მეზობლებს აღვიძებდა  
და მეც არ მასვენებდა. მოვიდოდა ჩემ ლო-  
გინ-ჩაღასთან, გადამაბრუნებდა ლოგინიანად,  
ეგონა გველი ჩემ ლოგინ-ჩაღაში, ან ტანისა-

მოსში შემოსულაო; გავიხილი ჰქონდა, რომ გველი ღამ-ღამობით თბილ ალაგს ეძებს და ყმაწვილის აკვანშიაც კი იცის დაშალვა და იკბინება კიდევცაო. მე უფრო თავს მოვიმძინარებდი ხოლმე. დილაზე მეტყოდა:

— წუხელის არაფერი გაგიგია? გველის გამო ავდექი და მეგონა შენ ლოგინში მოსულიყო, რადგანაც გველი მცივანაა და სითბო უყვარს.

— ღმერთმა დამითაროს იმის კბილისაგან ძალიან მეშინიან-მეთქი.

ამგვარად, ღამე წამ და უწუმ აყენებით და გამოღვიძებით გველის გამო, ანუ უკეთ ვთქვა, გველისაგან მოსვენება არ მქონდა და ველარ გამებედნა პური მეღერდნა, ან კიღობანს მივდგომოდი; სამაგიეროდ დღისით ბატონის გარედ, ან საყდარში ყოფნის დროს ვეტაკებოდი კიღობანსა. ბატონი რაკი ჰხედავდა, რომ კიღობანის წახდენას ველარაფერი მოუხერხა, ღამ-ღამობით ზეზე დადიოდა, როგორც ქაჯი. მეფიქრებოდა, მღვდელს თავის ჩხრეკის დროს ჩემი გასაღები არ მოეძებნა, რომელსაც ლოგინის ქვეშ ვინახავდი. ამიტომ

გულის დასამშვიდებლად ასე ვიფიქრე, ღამე გასაღებს პირში შევინახავ-მეთქი. ბრმასთან რომ ვიყავი, მაშინაც პირი ქისად გამოვიყენე, ხანდისხან შიგ თორმეტ-ხუთმეტს მარავედს ვინახავდი, სულ ნახევარ ბლანკიანებად და ისე ვიწყობდი, პურის ჭამასაც არ მიშლიდა. უამისოდ ერთ ბლანკიანსაც ვერ ჩავიგდებდი, რადგანაც შეჩვენებული ბრმა მთელ ტანისამოსის და ნაკერების შინჯვის დროს უეჭველად მიპოვნოდა.

ასე, როგორც მოგახსენეთ, მუდამ ღამ გასაღებს პირში ვიდებდი და გულ-მოსვენებით ვიძინებდი, რადგან არ მეგონა ავერაგ ჩემ ბატონს თვალი მოეკრა, მაგრამ კაცს რომ უბედურება მოადგება, ველარაფერი შველის.

ჩემ ბედად, ანუ უკეთ ვთქვათ, ჩემის ცოდვის კითხვისაგან, ერთ ღამეს ძილის დროს აკი პირი თურმე ღია დამრჩინოდა და გასაღები ისე მოტრიალებულიყო, რომ გასაღების გამოთხრილ პირს თურმე ჩემი სუნთქვა უბერავდა და სტვენა აეტეხნა ჩემ საუბედუროდ.

აღვა თურმე მღევდელი თავისი ჯოხით, ნელა მოუახლოვდა ცერებითა გველის სტვენას

ჩემკენა უჩუმრად, რომ არ დააფრთხოს. ახლოს რომ მოვიდა, იფიქრა სითბოს გულისთვის ჩემ ლოგინ-ჩალაში შემოსულა, ასწია ჯოხი დაუმიზნა გველს, რომ სწორედ ერთი დაკვრით მოჰკლას; რაც ღონე ჰქონდა მოიქნია და თავში ჩამცხო. თავი გამიტეხა და გონება დავკარგე. შემდეგ მიაწბო, როდესაც შენს კენესაზე მივხვდიო რომ ჯოხი შენ მოგხვედრია, გიყვიროდი სახელს, რომ გონზე მომეყვანეო. ხელი რომ მოგავლეო სისხლის ღვარი შემეხო და მაშინ მივხვდი, რა წყლული დაგმართე. სანთელი აენტო და ვენახე რომ პირში გასაღები მიძეეს; ნახევარი თურმე ისევ ისე გარეთ გამოყოფილი მეჭირა, როგორც სტვენის დროს.

გველის მღევარი შემკრთალი და გაოცებული თურმე ვერ მიმხვდარიყო, რა გასაღებიო, სანამ პირიდან არ ამოეძრო. რო გაესინჯა, მაშინ გაეგო რა ამბავიც ყოფილა, ამიტომ რომ, გასაღების ენა სწორედ იმის გასაღებისასა ჰგავდა; მაშინათვე მივარდნოდა კიდობნის კლიტეს, გაესინჯა და ჩემი დანაშაულიც აღმოეჩინა. გულ-ქვა მღევარი უეჭველად წარმოსთქვამდა:

„ვიპოვნე თავი და გველი ჩემი მტრები, ჩემის სარჩოს გამჩანაგებლებიო“.

რა მოხდა სამ დღეს, ვერაფერს ვიტყვი, ამიტომ რომ როგორც იტყვიან, ვეშაპის მუცელში გავატარე. რაც მოგახსენე, ისიც გონზე მოსვლის შემდეგ სხვისაგან გავიგონე, რა ნაირათაც მღვდელს დაწვრილებით თურმე ეამბნა მასთან მოსულებისათვის.

სამ დღეს შემდეგ ცნებას მოვედი და ვნახე, რომ ლოგინში ვწევარ, მთელ თავზე მალამოები მაკრავს და წასასმელი მაცხია; თავზაჩი დამეცა და დავიყვირე:

— ეს რა ამბავი არის მეთქი.

უწყალო მღვდელმა მიპასუხა:

— ღმერთმაც უწყის, რომ თავგზე და გველზე ვნადირობდი, რაკი ამიკლეს და დამანელესო.

დავაკვირდი ჩემ თავს, ვნახე რა საცოდაობაში ვიყავი და მიეხვდი ჩემ უბედურებას. ამ დროს ვილაცა დიაცი მოვიდა, რომელმაც შელოცვა იცოდა და კიდევ სხვა მეზობლებიც; თავიდან მჩვრები ამაცალეს და სხვა წამლები დამადეს დაშავებულ ადგილე-

ბზე. ცნებაზე მოსული რომ მნახეს, ძალიან გაეხარდათ და თქვეს:

— აი გონზე მოვიდა! ღვთით არაფერი უშავსო.

მერმე ისევ ჩემ თავგადასავალს ლაპარაკობდენ; მე უბედური კი ვტიროდი. ამასთანავე საჭმელს მაჭმევდნენ, რადგანაც მეტად დასუსტებული ვიყავი შიმშილისაგან და ძლივ-ძლივობით მომარჩინეს. ასე ნელ-ნელა ორი კვირის შემდეგ ნახევარ ავადმყოფი ზეზე წამოვდექი და სიკვდილის შიში აღარ მქონდა, მაგრამ შიმშილს ვერ გადვურჩი.

შეორჯ დღესვე, რაკი ზეზე ავდექი, ჩემმა ბატონმა მღვდელმა ხელი დამიჭირა, კარი გამატარა და ქუჩაში გამიყვანა.

— ლაზარე, დღეიდან ჩემი აღარა. ხარ, შენი თავი შენ გაბადია, მოსძებნე სხვა ბატონი, წაღი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს; შენისთანა ერთგული მსახური მე არ მინდა. თუ გამოდგები, ისევ ბრმის მატარებლადო.

თითქოს ეშმაკეული ვიყოვო, ისე გაუა-ციცებით მომშორდა, შებრუნდა შინ და კარი ჩაჰკეტა.

## თავი მესამე

### ლაზარე რაინდს როგორ დაუდგა და რა გადახდა

ამ გვარად ღონე ჩემ უღონობისაგან უნდა მომეკრიფა და ნელ-ნელა გულ-კეთილ ადამიანების დახმარებით გათქმულ ქალაქ ტოლედოს მივადექი, სადაც ღვთის შეწევნით ორ კვირაზე წყლულები გამიმთელდა. სანამ ავად ვიყავი, კიდევ ვაი ვაგლახით მოწყალებას მაძლევდნენ; რაკი მოვკეთდი, ყველა ასე მეუბნებოდა:

— მუშაობა არ გინდა, ზარმაცი ხარო. მოსძებნე, მოსძებნე ბატონი, მოსამსახურედ დადექიო!

„სად მოვძებნო“, ვფიქრობდი გულში,— „თუ ღმერთი დღესაც ისე არ გააჩენს ბატონს, ვითარცა გააჩინა ქვეყანა“.

ასე ამ გვარად ერთის კარიდან მეორემდის რომ დაეწანწალებდი და ვთხოულობდი მცირეოდენ საზღოს (რადგანაც წყალობა ცაში აფრენილა), ღმერთმა შემახვედრა ერთ რაინდს. მოდიოდა ქუჩაში მართებულად ჩაცმული, ლამაზად თმა დავარცხნილი; მიხვრამოხვრა და სიარული დარბაისლური ჰქონდა. შევხედე, შემომხედა და მკითხა:

— ბიჭო, მოსამსახურედ ხომ არ დადგებიო?

მე ვუპასუხე:— დიად, ბატონო-მეთქი.

— მაშ წამომყევო. ღმერთს შენზე წყალობის თვალით მოუხედავს, რომ გზაზე შემომახვედრა შენი თავიო. შენ დღეს ალბად გულიანად გილოცნიაო.

მივყევი და ღმერთს მადლობას ვწირავდი რომ შეისმინა ჩემი ვედრება. რაინდი თავის, შეხედულობით და ტანისამოსით ისეთ კაცად მეჩვენა, როგორიც კი მე მინდოდა. ჯერ კიდევ დილა იყო, ამ მესამე ბატონს რომ შევხვდი, თან წამიყვანა და გამატარა თითქმის მთელი ქალაქი. ვიარეთ, გავიარეთ ბაზრები, სადაც პური და სხვა სანოფიაგე იყიდებოდა.

ვფიქრობდი და ვოცნებობდი, აი აგერ ჩემი ბატონი ამკიდებს რაც აქ რამ იყიდება-მეთქი, რადგანაც სწორედ ის დრო იყო, როდესაც ხორაგეულობის თავდარიგს იჭერენ ხოლმე. მაგრამ ჩემი ბატონი მძიმე სიარულით გვერდს უვლიდა ბაზრებს.

„იქნება აქ თავის გუნების ხორაგს ვერ შოულობს მეთქი, ვიფიქრე და მეორე მხარეს აპირებს ყიდვასა.“

ასე ვიარეთ სანამ თერთმეტი საათი შესრულდებოდა და დიდ საყდარში შევიდა. მეც შევეყევი. იქ ვნახე რა მხურვალეს გულით და მოწიწებით მოისმინა წირვა და სხვა ლოცვები, სანამ გათავდებოდა და მრევლი გამოვიდოდა. ჩვენც გამოვედით და ჩქარის სიარულით უკან დავბრუნდით. მხიარულის გულით მოვდევდი და მიხაროდა, რომ ხორაგეულობის ყიდვა ჩვენი საქმე არ ყოფილა: დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ბატონი იმ კაცებისთანაა, ხორაგს რომ ერთიანად ყიდულობენ და საკმელი მზათ აქვთ შინ, ისე როგორც მე მესურვებოდა ან უკეთ რომ ვთქვა, მენატრებოდა. ამ დროს საათმა პირველი დაჰკრა, და ერთ სახლს მივა-

დექით. ჩემი ბატონი შედგა; მეც გავჩერდი. მარცხენა კალთა წამოსასხამისა გადაიწია, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ქუჩის კარი გააღო. შევედით სახლში ჩაბნელებულ გულ-და-ხურულ შესავალით, შიგნით კი პატარა ეზო და ძალიან მართებული ოთახებიც გამოჩნდა. როდესაც შინ შევედით, წამოსასხამი მოიხადა. მკითხა სუფთა ხელი თუ გაქვს დაბერტყე და დაჰკეცეო; ჩვენ ერთად ავასრულეთ ეს საქმე. გძელ სკამზე მტვერს ბერვა დაუწყო, რომ სულ გადაეწმინდა; წამოსასხამი დასდო და მერმე თვითონაც დაჯდა. მომიყვა დაწვრილებით გამოკითხვას; საიდან და როგორ მოვედი ამ ქალაქში. ჩემი საამბოები უფრო გრძელი გამოდგა იმაზე, ვიდრე რაც მსურდა, ამიტომ რომ საამდროვოდ უფრო მოსაგვარებელი მეგონა, ბატონს ებრძანებინა სუფრა გამეშალა და საჭმელი მომეტანა, ვიდრე გამოვეკითხე. მე მაინც მისი სურვილი დავაკმაყოფილე, — ვაჭორებდი რაც კი უკეთესად შემეძლო ჩემი ცხოვრების ამბავს, ჩემს ღირსებას და ვმალავდი ყოველიფერს, რაც კი გამოსაფენად უადგილო მეგონა.

ამას შემდეგ რამდენსამე ხანს რაინდი ჩუმად იჯდა. ეს ცუდ ნიშნად მეჩვენა, რადგანაც ორი საათი კიდევ იქნებოდა; იმას კი არ ეტყობოდა, როგორც მკვდარს, რომ ჭამას აპირებდეს. ოთახს დავუწყე სინჯვა და დათვალიერება; კარი გასაღებით იყო დაკეტილი, არც მალლიდან და არც დაბლიდან ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა მთელ სახლში: ცარიელი კედლების მეტი არაფერი ჩანდა, არც სკამი, არც გძელი სკამი, არც სტოლი, არც კიდობანი, როგორც წინანდელ ბატონს ჰქონდა. სახლი დაშამათულსა ჰგავდა.

ცოტა ხანს ხმა-ამოუღებლად ჯდომის შემდეგ ბატონმა მკითხა:

— ბიჭო, გიჭამია რამე?

— არა, ბატონო-მეთქი, ამიტომ რომ თქვენ შეხვედრის დროს რვა საათი არ იყო.

-- მართალია, ადრე იყო, მაგრამ მე კიდევ ვისაუზმე და ისე დავნაყრდი, რომ სალამომდის არაფერი მინდა; ამიტომ როგორც გინდოდეს, ის მოაწყე და მერე ვახშამი ვჭამოთ.

არ დაიჯერებს თქვენი მოწყალება, კინალამ დავეცი ეს რომ გავიგონე ჩემი ბატონი-

საგან, ისე სიმშვილის გამო არა, როგორც იმისაგან, რომ თან-და-თან ვრწმუნდებოდი, რა სახით ჩამოჩემტერა ბედი. ხელ-ახლა გულში გამიახლდა ჩემი ხელ-მოკლეობა და წინაღვე გლოვას შევუდექი. მომაგონდა რასაც ვფიქრობდი მღვდელს რომ თავს ვანებებდი: ეს ბატონი წომ უბადრუკი რამ არის, ვაი თუ უარესს გადავეკიდო მეთქი. გული მწარედ მიტიროდა იმაზე, რა გაჭირვებაც ადრე ვნახე და ახლა კიდევ რა სიკვდილი მომელოდა, მაინც თავი მოვიკატუნე დი ვუთხარი:

— ბატონო, მე ხომ ჯერ ყმაწვილი ვარ და ჭამისათვის ძალიანაც თავს არ ვიტეხ; ღვთის მადლით, მე დავიკვებავ, რომ ჩემ ტოლებში დიდი მუცლისა არა ვარ; ამიტომ ვისთანაც კი ვყოფილვარ, ჩემი ბატონები ძალიან მაქებდნენ.

— კარგი თვისება გქონიაო, ამიტომ მე მეყვარები ავმუცლობა ღორის თვისებააო, რიგინმა კაცმა ზომიერი ჭამა უნდა იცოდესო.

„კარგა მესმის შენი ლაპარაკი მეთქი—ჩემ გულში ვიფიქრე, — დასწყევლა ღმერთმა ამის-



სთანა სათნოება, რომ ვისაც კი შეეხვდით, ყველა ჩემი ბატონები მშივრები ყოფილან“.

კუთხეში მივჯექი და უბიდან რამდენიმე ლუკმა პური ამოვიღე, რომელიც მოწყალებით ნაშოვნადან შემრჩენოდა. ბატონმა რომ ნახა, დამიძახა:

— აქ მოდი, ბიჭო, რასა სჭამ?

მივედი და პური ვაჩვენე. ამოარჩია სამი ნაჭრისაგან ერთი, რომელიც უფრო დიდი და უკეთესი იყო და თქვა.

— ღმერთმანი, მგონია ცუდი პური არ არის!

— გახლავთ მეთქი—ვუთხარი.

— არა, მართლა! საიდან გიშოვნია? ხომ სუფთა ხელით არის მოწელილი და გამომცხვარი?

— არ ვიცი, რა მოგახსენო-მეთქი, მაგრამ გემო არაფერ ზიზღს არა გგვრის.

— ალბად ღვთის ნებაა,—საქვა ჩემმა საწყალმა ბატონმა,—პირში ჩაიდო და ისე გაფიცებებით დაუწყო ჭამა, როგორც მე ვთქვლევადი მეორე ნაჭერსა.

— ძალიან გვმრიელაი პური ყოფილა, ღმერთმანი.

მე მივხვდი, რაშია ც კოქლოზდა; ასეთ გუნებაზეა-მეთქი ვფიქრობდი, რომ დანარჩენ პურის გათავებასაც დამეხმარება თუ კი ჩემზე მალე გაათავა თავისი ნაჭერი; დავაჩქარე ჭამა და ამგვარად თითქმის ერთად მოვრჩით. დიდის სიფრთხილით გადიბერტყა გულიდან ნამცეცები. მერმე მეორე ოთახში შევიდა და გამოიტანა ძველი პირ-მოტეხილი ლიტრა, ცოტათი მოსვა და მე გადმომცა, დალიეო. მე თავაზით ვუთხარი:

— ბატონო, ღვინოს არ გიახლები, მეთქი.

— წყალიაო, შეგიძლია დალიოვო.

ჩაპოვართვი და ცოტათი მოვსვი, რადგანაც წყურვილი სრულებით არ მაწუხებდა.

ამ სახით დაღამებამდის ვისხედით და სხვადასხვა ამბებს ვლაპარაკობდით. ის მე მკითხავდა და, როგორც უკეთესად მოვახერხებდი მეც პასუხს ვაძლევდი.

მერმე შემიყვანა იმ ოთახში, საიდანაც წინად ლიტრა გამოიტანა და მითხრა:

— დადევ ბიჭო და მიყურე, ლოგინს როგორ გავიშლი, რომ იცოდე ასე დამიგო.

ერთ თავში მე დავდექი და მეორეში ის

და მალე ლოგინი გავაკეთეთ, რომელსაც არაფერი გასაკეთებელი არ ჰქონდა. ერთადერთი ქილობი იყო გძელ სკამებზე გადაფენილი, ზედ ლეიბი ზეწარ გადაფარებული; ლეიბს, დიდი ხნის გაურეცხელს უმსგავსი შეხედულება მისცემოდა და მატყლიც იმოღენა. არ ედვა, რაც ეკადრებოდა. დავაგეთ, ხელი დავკართით რომ მატყლი გაღვივებულიყო; მაგრამ არ იქმნა, რადგანაც მაგარს რა გაარბილებს.

იმ ოხერ ლეიბში ისე ცოტა რამ იდვა, რომ როდესაც ქილობზე გავშალეთ, ნამჯის ღერები ზედ დაეტყო, როგორც ძალიან გამხდარ ღორს ფერდის ძვლები. ლოგინის შლა გავათავეთ, დაღამდა ჩემმა ბატონმა მითხრა:

— ლაზარე, ახლა გვიან არის და ბაზარი შორს არის, ამას გარდა ამ ქალაქში მრავალი ოხერი მაწანწალა დაეთრევა ღამე საქურდლად, დიღამდის იოლად წავიდეთ, დილა გათენდება და ღმერთი წყალობას არ მოგვაკლებს, ხორაგი შინ არაქმექეს, რადგანაც მარტოხელი ვიყავი და წინა დღეებში სადილს შინ არ ვჭამდი. ახლა სხვა რიგიდ მოვაწყობთ.

— ბატონო, ჩემთვის ნუ იწუხებთ თავსა, ერთს ღამეს უჭმელობა რა სახსენებელია. მე მეტიც შემიძლია, თუ კი დაგვჭირდა.

— ჯანმრთელიც გამოხვალო, — მიპასუხა, — ამიტომ როგორც დილას ვლაპარაკობდით ხანგრძლივის სიცოცხლისათვის უკეთესი არა იქნება რა, როგორც ნაკლები ჭამა.

„თუ კი საქმე მაგაზე მიდგა, — გულში ვთქვი, — არასოდეს აღარ მოვკვდები მეთქი, ამიტომ რომ ყოველთვის მაგ წესზე ვიდექი და საუბედუროდ, როგორც ვხედავ, მთელ ჩემ სიცოცხლეში აგრე მომელის სიარული.“

ჩემი ბატონი ლოგინში ჩაწვა, თავქვეშ სასთუნლად შალვარი და კაბა დაიდო. მეც მიბრძანა ფეხ-ქვეშ დამეძინა და ავასრულე. მაგრამ მე რომ ძილს ვაპირებდი, ის ძილი აღბად დაწყევლილი იყო: ლეიბის ჩალები და ჩემი გამზმარი გვერდის ძვლები მთელ ღამეს ერთმანეთის ომში იყვნენ და ჩხუბობდნენ. ამასთან მთელ დღეს თითქმის არაფერი მეჭამა, ამიტომ ვიტანჯებოდი შიმშილით, რომელიც ძილთან მეგობრობას არ ეწყობა. ათასჯერ თავს ვიწყევლიდი (ღმერთო შეგცოდნე) და ჩემ

ბედის წე<sup>4</sup>ასა; მეშინოდა გადავბრუნებულყავ, რომ ბატონი არ გამომეღვიძებინა და ღმერთს ბევრჯელ სიკვდილს ვეხვეწებოდი.

გათენდა თუ არა, ავედექი; თ დაიწყო ბერტყვა და წმენდა თავისის შალვრისა, კაბისა, შლაპისა, წამოსასხამ ისა და მეც გულთანად. ვემსახურებოდი; ხელ-პირი დავაბაინე; ჩაიცვა, თმა დაივარცხნა და ხმალი ჩამოიკიდა; თან მიტხრა:

— რო იცოდე, ბიჭო, ეს რა საქონელია! ქვეყანაზე იმდენი ოქრო არ იშოვება, რომ დამფასად მივცე. ანტონიოს გაკეთებულ ხმალში არც ერთს ამისთანა კარგი ფოლადი არა აქვს.

ქარქაშიდან ამოიღო, თითები შოავლო და სთქვა.

— აბა ნახე. სანაძლეოს დავდებ, რომ კონა ბალანს შუაზე გადავჭრი.

მე გულში გავიტარე:

„მე სანაძლეოს დავდებ, რომ კბილებით, თუმცა ფოლადისა არა მაქვს, ოთხ გირვანქა პურს გადავჭრი“.

ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, შემოირტყა,

განიერი შლაპა დაიხურა და წელში გამართული მუხლ-მაგრად გაემართა კარზე; თავი და ტანი ისე ეჭირა, როგორც კეთილშობილურ სახეს შეშვენის წამოსასხამის ერთი კალთა მხარეზე და ცოტად ხელზე გადიგდო მარჯვენა ხელი დოინჯად შემოიყარა და გავიდა. გასვლისას მითხრა

— ლაზარე, სანამ მე წირვაზე წავალ, შენ შინ იყავ, სახლს უყურე, ლოგინი გამიკეთე და ლიტრით წყალი მოიტანე, აქვეა მდინარე კარი კი კლიტით დაჰკეტე. არაფერი მოიპარონ და გასაღები აქ ჩანგალზე ჩამოჰკიდე, რომ თუ შინ არ იყო და მოვიდი, აქ დამხვდეს.

გავიდა ქუჩაში ისეთის მედიდურის შეხედულობით და სახით, ვინც კი არ იცნობდა, ეგონებოდა გრაფ არკოსის ახლო ნათესავი უნდა იყოსო, ან მისი შინა კაციო.

კურთხეულ არის სახელი უფლისა, მეთქი, — ვფიქრობდი გულში, — ჭირს მოგვცემს და განკურნებასაც თან მოაყოლებს ხოლმე. ვინ იფიქრებდა ჩემი ბატონის კმაყოფილების სახის მნახველი, რომ წუხელის კარგი ვახშამი არ მიუერთმევია, კარგ ლოგინში არ სძინებია

და დღეს დილას კარგ საუზმეს არ გხლებიაო? მრავალ არიან უფალო საიდუმლოებანი, რომელნიც უწყის მხოლოდ გულთა მხილაობამან შენმან, ხოლო არ უწყიან კაცთა. ვის არ მოატყუებს ეს კარგ გუნებაზე ყოფნა, მართებული ტანთ-საცმელი და წამოსასხამი და ვინ იფიქრებს, რომ ამ კეთილშობილმა კაცმა მთელი გუშინდელი დღე საცოდავ ერთნაჭერ პურზე გაატარა, რომელიც მისმა მსახურმა ლაზარკამ ერთი დღე-ღამე უბით ატარა, და რომელსაც სამაგისო სუფთა რამ ბევრი ვერაფერი მიეკვროდა? ვინ იფიქრებდა, რომ დღეს ხელ-პირის ბანის შემდეგ პირსახოცად კაბის კალთა უნდა ეხმარა? რა თქმა უნდა, არავის ფიქრში არ გაუვლიდა. ჰოი, უფალო, რამრავალნი უნდა იყვნენ ქვეყანაზე ამისთანანი, რომელნიც იმდენს ითმენენ, რაღაცა, როგორც ისინი ამბობენ, პატიოსნებისათვის, რამდენსაც ვერ აიტანდნენ შენის გულისათვის!

ამისთანა ფიქრებით ვიდექი კართან და თვალს ვადევნებდი ჩემ ბატონს, გრძელ და ვიწრო ქუჩაში მიმავალსა. შინ შევედი და რაც დრო ერა: მრწამსის თქმას მოუხდებოდა, იმდენ

ხანს ცქვიტად შემოვირბინე მალლიდან ძირამდის მთელი სახლი და ვერაფერი ვიპოვნე. საცოდაობის ხორკლიანი ლოგინი გავაკეთე, ავიღე ლიტრა და წყალზე წავედი იქ ერთ ბოსტანში ვნახე ჩემი ბატონი გაცხარებულ ლაპარაკში იყო ორ მორთულ მოკაზმულ ქალთან, რომლის მსგავსს აქ ბლომად შეხვდებით ხოლმე. ბევრს იმისთანას ჩვეულებად აქვთ ზაფხულში დილაობით გასაგრილებლად ამ წყლის ნაპირს მოდიან, გრილდებიან და ნაყრდებიან ხოლმე. დასანაყრებლად საუზმე თან არ მოაქვთ იმ იმედით, რომ უეჭველად ვინმე დაჰპატიჟებს, რადგანაც ამისთანა ჩვეულებას ბევრი აქაური თავად-აზნაური ხელს უწყობს.

როგორც მოგახსენეთ, იდგა ქალებში როგორც (ტრუბადური) მასიასი და ისე ალერსიანად ელაპარაკებოდა, რომ ვგონებ ოვიდიუსს იმდენი არ დაეწეროს. ქალებმა როდესაც ნახეს, რომ კარგა საკმაოდ მიუტკბა, მოურიდებლად სთხოვეს საუზმეზე დაგვპატიჟეო. იცოდა რაც ყინვა ადგა ქისასა და რა სიცხით ეწოდა მუცელი, შეაკანკალა მღელვა-

რებამ ისე, რომ ფერი ეცვალა, აირია ლაპარაკში და გამოუსადეგარ ბოდიშს მოჰყვა. ქალები ალბად ნასწავლები იყვნენ, მიხვდნენ, რომ შეუძლებელიაო, თავი დაანებეს და დასტოვეს მის ამარას. ამ დროს რალაცა კომბოსტოს გულს თუ სტაფილოს საუზმედ შევექცეოდი და შინ დაებრუნდი, ბატონმა არა მნახოს მეთქი. სახლის დაგვა დავაპირე, მაგრამ ცოცხად ვერაფერი მოვნახე. ფიქრში ვიყავი, რა ვუყო და როგორ მოვიქცე მეთქი და ბოლოს გადავწყვიტე ბატონს მოვუცადო; სანამ შუა დღე მოატანს, იქნება მოვიდეს და მოიტანოს რამე საჭმელიო. მაგრამ მოლოდინი ტყუილი გამოდგა. რომ ვნახე ნაშუადღევის ორმა საათმა გაიარა, ბატონი არ დაბრუნდა და შიმშილმა კი შემაწუხა, კარი დავკეტე, გასაღები ნაჩვენებ ადგილს ჩამოვკიდე, შევუდექი ისევ ჩემ ჩვეულებრივ ხელობას. თვალეც ცისკენ მიმართული და ენით ღვთის სახელის მოღალადე, ნელის და მიკნავებულის ხმით პურს ვთხოულობდი სასახლეების კარებთან, რომელიც კი უფრო მდიდრებისა მეგონა. ეს ხელობა დედის ძუძუსთან მიწოვნია: მე

მინდა ვთქვა, რომ დიდმა ჩემმა ოსტატმა —  
— ბრამ მასწავლა და ისეთი ნიჭიერი შაგირ-  
დი გამომწურთნა, რომ თუმცა ამ ქალაქში  
სამაგისო ხელ ღია ხალხი არ გახლავს და ის  
წელიწადიც საიმისო მოსავლიანი არ იყო,  
მაინც ასე მარჯვეთ წავიყვანე საქმე, რომ ჯერ  
ოთხი საათიც არ დაეკრა, ოთხი გირვანქა პუ-  
რი მუცელში მექნებოდა ჩალაგებული და კი-  
დევ ორი გირვანქაც ხელში და უბეში. მოვ-  
ტრიალდნ შინისაკენ. მეხაშეპის რიგზე რომ  
გამოვიარე, მოწყალეა ვთხოვე ერთ გამყი-  
დავ დედაკაცს და მან მომცა ძროხის ფეხის  
ნაჭერი და ნახარში ფაშვ-წელ-წული.

შინ რომ მივედი, პატროსანი ბატონი სა-  
ხლში დამხვდა. წამოსასხამი დაეკეცა, სკამზე  
დაჯდვა და კარში ბოლთასა სცემდა. როცა  
შინ შევედი, ჩემკენ წამოვიდა. მეგონა გამი-  
ჯავრდება, რათ დაიგვიანეო. მაგრამ ღმერთს  
კარგს გუნებაზე დაეყენებინა. მარტო ისა  
მკითხა, საი-

დან მოდიხარო? მეც ვუპასუხე:

— ბატონო, ორ საათამდის აქ გახ-  
ლდით. რადგანაც თქვენი მოწყალეობა არ მო-  
ბძანდა, ავდექი ქალაქში წავედი, რომ გულ-

ეთილ ხალხს ჩამოუარო; და აი რა მომცეს, ნახეთ.

ამ სიტყვებთან ვაჩვენებ კალთით მოტანილი პური და ხაშეულობა. იმან ზედ წყალობის თვალით დახედა და თქვა;

— მე კი სადილად მოგელოდი, მერე რო აღარ მოხვედი, ვისადილე. მაინც ამ შემთხვევაში ისე მოქცეულხარ, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის, ამიტომ რომ, სჯობია კაცმა მოწყალება ითხოვოს, ვიდრე იქურდოს. მხოლოდ გამიგონე, არავინ შეიტყოს, რომ შენ ჩემთანა ხარ; ამიტომ რომ, ეს ჩემ პატიოსნებას შეეხება. მე, ვთქვათ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს საიდუმლოდ დარჩება, რადგან ამ ქალაქში ბევრი არავინ მიცნობს; თორემ არასოდეს აქ არ მოვიდოდი.

— მაგისი ფიქრი ნუ გექნებათ, ბატონო. ვის რად უნდა გამომკითხოს და მე რაში მეჭირება პასუხი მივცე.

— დაჯე, სჭამე შე საწყალო. თუ ღმერთმა ინება, მალე აღარაფერი გაგვიჭირდება და ვიტყვი რომ, ნას აქეთ, რაც ამ სახლში ფეხი შემოვლავი, ხელი ვერაფერში გამემართა. ცუდ

ადგილას უნდა იყოს აშენებული, ამიტომ რომ, ზოგი უბედური სახლია, ავი ფუძე აქვს, ვინც კი დადგება, უბედურება თან დასდევს. ეს სახლიც უთუოდ ამგვარია და ეს თვე რომ დასრულდება, რაც უნდა მომცენ, აქ აღარ დავდგები, თუნდა რომ მუქთადაც მომცენ.

გრძელ სკამის ბოლოში დავჯექი და ღორ-მუცელა არ ვეგონო მეთქი, დაუმალე რომ საუზმე მეჭამა. მოვეყვე ხაშეულობისა და პურის ჭამას. ხან და ხან თვალს გადავაპარებდი ჩემს დაძაბუნებულს ბატონს, რომელიც თვალს არ აშორებდა ჩემ კალთას სუფრად გადაშლილს. ღმერთმა ისე შემიბრალოს, როგორც მე ის მებრალებოდა მაშინ: მე მესმოდა, რასაც ის ახლა ჰგრძნობდა, მრავალჯერ უგრძენია და მუდამ დღე გამოუვლია. ფიქრში ვიყავი, კარგია თუ ცუდი, რომ თავდაქერილად ვიქცევი და არ ვეპატიეები ჩემ სუფრაზე მეთქი. მეორეს მხრით, მერიდებოდა, ვაი თუ წვეულებაზე უარი მითხრას, რადგანაც წელანა თქვა, სადილი ვჭამეო. მაინც კი მესურებოდა, რომ ჩემი ნაშოვნნი ამ საწყლის გაჭირვებას მოხმარებოდა, დანაყრებულიყო, რო-

გორც წინა დღეს; მეტადრე იმის გამო, რომ გარემოებაც ხელს უწყობდა, რაკი საკმელიც უკეთესი იყო და მეც შიმშილი თავში არ მცემდა. ღმერთმა ინება ჩემი სურვილის ასრულება, ამიტომ რომ, ჭამას რომ შეუდექი, ის ბოლთასა სცემდა, მომიახლოვდა და მითხრა:

— აბა რომ, ლაზარე, ჭამა გცოდნია ჩემ სიციცხლეში შენისთანა მადიანი მჭამელი არ მინახავს. შენი მაყურებელი ადამიანი რაც უნდა გამომძღარი იყოს, მაინც კი მადა მოუვა.

საჭიროდ დავინახე, რომ დავეხმარო, რაკი ამ ლაპარაკით გზა გამიხსნა და მოვახსენე:

— ბატონო, ხილი მგზილესაო. ეს პური ისეთი გემრიელია და ეს ფეხი ისე კარგა რიგინად მოუჭარშავთ, რომ არ შეიძლება, კაცი არ შეიტყუოს.

— ძროხის ფეხია?

— დიალ, ბატონო.

— მართალი უნდა ვთქვა, რომ ამისთანა საკმელი ქვეყანაზე არ იშოვება და ხოხობს ისე გემოს ვერ ჩავატან ხოლმე, როგორც ამას.

— მაშ, შენი ღირსეულობა ბატონო, მიერთებით ნახავთ, რომ სწორედ ისეთია.

ავიღე და ხელში მივეცი ძროხის ფეხი და სამი ოთხი ნაჭერი ძალიან თეთრი პური, გვერდით მომიჯდა და ისე მადიანად შეექცა, რომ თითო ძვალს ცალ-ცალკე ღრღნიდა მის ძაღლზე უკეთესად.

— საწებლით კი სულ სხვა რამ არის.

„ეხლა რომ საწებლითა სკამ, უკეთესია მეთქი“,— გულში გამიარა.

— ღმერთმანი, ეს ისე მადითა ვჭამე, თითქოს დღეს ჩემ პირს ნაწილი არ ენახოსო.

ლიტრა მთხოვა; ლიტრას შევატყე, რომ რაც მომეტანა, არ დაჰკლებია; ჩანს ჩემ ბატონს ისე გემრიელი სადილი არა ჰქონია, რაკი წყალს არ მიჰკარებია.

დავლიეთ წყალი და კარგა დაკმაყოფილებულნი წავედით დასაძინებლად, როგორც წუხელის. მეტის-მეტად რომ აღარ გავაგრძელო, მოგახსენებთ, რომ ასე გავატარეთ რვა-ათი დღე. დილაობით ჩემი საწყალი ბატონი მდიდურის სახით, მძიმე სიარულით ქუჩებში დადიოდა ჰაერის ჩასაყლაპავად და საშოვრის

ზრუნვა კი საცოდავ ლაზარილიოს უნდა ეკისრა. ხშირად ფიქრში ვიყავი ჩემ უწყალო ბედის წერაზე. გადავრჩი უწინდელ საძაგელ ბატონებს, ვეძებდი უკეთესს და ახლა იმისთანას შევხვდი, რომ ის კი არ მარჩენს, პირიქით, მე უნდა ვარჩინო. მაინცა და მაინც ეს კაცი მიყვარდა, ვხედავდი, რომ არა გააჩნია რა, და ვერაფერს მომცემს; უფრო მეტრახლებოდა, ვიდრე მტრობა მეგრძნო და ამიტომ ზოგჯერ მე უკმელი ვრჩებოდი, ოღონდ შინ რამე მიმეტანა მისთვის და მეკმია. ერთხელ დილა ადრიაანად თავის საჭიროებისათვის პერანგა მალლა ავიდა; გულის დასაჯერებლად გაეშალე იმის თავქვეზე სასთუნლად დახვეული შარვალი და კაბა, და ერთი ხავერდის ქისა მოვნახე, სულ ნაოჭებიანი; შიგ არამც თუ ერთი ბლანკიანი ვერ ვიპოვე, ნიშანიც არ ეტყობოდა, რომ როდისმე დებულიყოს.

„ეს კაცი ღარიბია მეთქი,—ფიქრობდი ჩემთვის,—აბა, ვისაც არა გააჩნია რა, სხვას რას მისცემს. აი წუწკი ბრმა და ძუნწი მღვდელი სიმშილითა მკლავდნენ, თუმცა ღვთის მოწყალება არ აკლდათ, ერთს ხელის კოცნისათვის

და მეორეს მოქნილის ენისათვის. აი ისინი არიან საძულველნი, ეს კი შესაბრაალისია“, ახლაც კი ღმერთია მოწამე, ვისმე აზნაურს რომ ვხვდავ, იმგვარადვე მედიდურად გავ-ლილს, ყოველთვის შემბრაალდება ხოლმე. ვფიქრობ, ვინ იცის, ესეც იმ გაჭირებაშია, როგორც მე ვნახე ჩემი ბატონი, რომელსაც თუმცა ღარიბი იყო, მაინც სიამოვნებით ვემსახურებოდი, ვიდრე სხვებს, სწორედ იმის გულისათვის, რაც მოგახსენეთ. მხოლოდ ერთი რამ მისი ცოტა არ მომწონდა: კარგი იქნებოდა ცოტა ის მედიდურობა მოეკლო, მაღლა ფრენისთვის თავი დაენებებინა და დაშვებულყო თავის ღარიბობის შესაფერად. მაგრამ, ჩანს, ამ გვარიშვილების ადათია — მტკიცედ შეინახონ და აასრულონ ჩვეულება, თავი მაღლა ეჭიროთ, თუნდა რომ ჯიბეში გროშიც არ უჭყაოდეს. განკურნე იგინი, უფალო, ამჭირისაგან, თორემ თავისი ცრუ აზრისა გამო დაიღუპებიან.

ასე ამ გვარ ყოფაში რომ ვიყავი, როგორც მოგახსენეთ, ჩემ ბედშავობას თითქოს არ ეყო, რაც დავეტანჯე და მოინდომა, რომ ეს

გაჭირვებული და შერცხვენილი სიცოცხლცე  
დიდხანს არ გამეტარებინა. ნიშნობლივ აი  
რა მოხდა. როდესაც ამ მხარეს ცუდი მოსა-  
ვალა მოვიდა, იმ წელს ქალაქის მმართველო-  
ბამ გადასწყვიტა, გარედან მოსული ლარიბები  
აქედან გავიდნენო და გამოაცხადა, ვინც ამას  
იქით დარჩება, ჯოხი მოხვდებაო. ამ გვარად  
განცხადების ოთხიოდ დღის შემდეგ მე ვნახე,  
კანონის ასრულებისათვის რა სახით მთელს  
ერთ ჯგუფა მთხოვარებს ქუჩაში ერეკებოდ-  
ნენ ჯოხის ცემითა. ამ ამბავმა ისე დამაშინა,  
რომ კანონის დარღვევა ველარ გავბედე და  
მოწყალების სათხოვრად ველარ ვიარე. ვისმე  
რომ მოენდომებინა, ნახავდა რა მოთმინებით  
იყვნენ ჩვენი სახლის მდგმურები და ერთმა-  
ნეთთან რა უჩუმრად ატარებდნენ სიცოცხლეს.  
მოხდებოდა, რომ ხანდახან ორ-სამ დღეს  
ულუკმაპუროდ და ხმა კრინტის დაუძვრელად  
ვატარებდით. ვილაცა დედაკაცებმა გამაძლები-  
ნეს რომელნიც ბამბას ართავდნენ, იარახჩი-  
ნებს ჰქსოვდნენ და ჩვენ პირდაპირ იდგნენ.  
გამოვემცნაურე იმათ და რასაც შოვობდნენ,  
მიწილადებდნენ ხოლმე რასმე; ამით გამოვ-

დიადი. ჩემი თავი ისე არ მებრალებოდა, როგორც ჩემი ბეჩავი ბატონი; ვინ იცის მთელ ერთ კვირას ერთი ლუკმა პურის გემო უნახავს თუ არა? ეს კი ვიცი, რომ ერთ კვირას შინ არაფერი გვიჭამია. არ ვიცი სად მიდიოდა, საიდან მოდიოდა და რასა სჭამდა. ვხედავდი, რა სახით შუა ღლისას ქუჩაში გაიფლიდა, ხოლმე, სახე მეტად დაგრძელებოდა, ვიდრე ტანი მწვევარ ძაღლსა. აიღებდა ერთ ღერ ჩალისას, რომელიც შინ მაგდენად ბევრი არ გვეპოვებოდა და იწმენდდა კბილებს (ამას ითხოვდა მისი უბედური პატიოსნება), რომელშიაც რასაკვირველია არაფერი არ იპოვებოდა, ბალკონზე გავიდოდა და ყოველთვის, ასე ვთქვათ თავის ბედის ვარსკვლავს მიმართავდა და ემდუროდა:

— ცხადია, რომ მიზეზი სულ ეს უბედური სახლიაო. შენც ხომ ხედავ, რა გულდახუროული ბნელი და დაღვრემილი სახლია. მეტი ღონე არ არის, უნდა მოვითმინოთ, სანამ აქა ვართ. მარტო იმას ველოდები, თვე დასრულდეს და აქედან გავიდე.

ამასობაში შიმშილი რომ ჩვენგან ხელს არ იღებდა და გვაწბილებდა, არ ვიცი რა ბედნიერი შემთხვევით ბატონის ჯიბეში ერთმა რეალმა თავი ამოჰყო. ამ რეალით შინ მოვიდა ისეთი გახარებული, თითქოს ვენეციის საუნჯე ხელში ჩაეგდოსო და სიხარულისაგან გაბრწყინებულის სახით გადმომცა და მიტხრა:

— აჰა, ლაზარე! ღმერთმა თავისი უხვი ხელი გაშალა. წადი ბაზარში, იყიდე პური, ღვინო და ხორცი. დღეს ეშმაკს ფეხი უნდა მოვტეხოთ. კიდევ უნდა გახარო, რომ სხვა სახლი ვიქირავე და ამ ოხერში მარტო ამ თვის გასვლამდის დავრჩებით. ღმერთმა დასწყევლოს ესეცა და ამის ამშენებელიცა. უბედური საათი იყო, აქ რომ ფეხი შემოვდგი, ღმერთს ვფიცავ, რაც აქ ვდგევარ, ერთი ყლაპი ღვინო და ერთი ნაჭერი ხორცი არ უნახავს ჩემ პირს; ერთი წამი მოსვენება არა მქონია, ასეთი დაღვრემილი და გასატიალებელი სახლია. აბა, გაიქე და მალე დაბრუნდი; დღეს მე და შენ დიდკაცური სადილი ჯვექნება.

გამოვართვი რეალი, ავიღე ლიტრა, სიხა რულით და სიამოვნებით გავექანე ბაზრისკენ.

მაგრამ რა ვქნა, შუბლზე მიწერია, რომ არაფერმა სიამოვნებამ არ უნდა დამატკბოს, თუ დაბრკოლებაც თან არ მოჰყვა. აქაც ასე მოხდა, გზაში მე ვანგარიშობდი რეალი როგორ გავანაწილო, რომ უკეთესად და სარფიანად დავხარჯო; თან ღმერთს დაუსრულებელს ქებას აღვუვლენდი, რომ ჩემ ბატონს შოანიჭა ამოდენა ფული. ერთიც ვნახოთ, ჩემ საუბედუროდ გზაზე მიცვალებულს არ მოასვენებენ საკაციოთა და მრავალის სამღვდელოებითა! ქუჩის კედელს მივეკარი, გზა მიმეცა. ცხედარი გაატარეს, უკან დედაკაცი მისდევდა, ალბად ცოლი იყო, მწუხარებით გულმოკლული ხმა-მალლა ტიროდა და მასთან მგლოვიარე დედაკაცები მოსთქვამდნენ:

„ჩემო მეუღლეე ბატონო! დამტოვე და სად მიჰყევხარ, უბედურ და სატირელ სახლში! შავსა და გასატილებელ სახლში. იმ გასაოხრებელში, რომ არც ჭამა აქვთ და არც სმარ“.

ეს რომ გავიგონე, გული გამისქდა, ცა და ქვეყანა თვალში ამიჭრელდა.

„ვაი ზენ ჩემო თავო! ამ ცხედარს ჩვენსა მიასვენებენ მეთქი.“

ბაზრისთვის ვილას სცალოდა. შუა ხალხში შევერჩე და რაც ღონე მქონდა, სირბილით შინ დავბრუნდი; ფეხი შევდგი თუ არა, საჩქაროდ კარი ჩავკეტე, ბატონს დავუძახე მომშველებოდა; ვეხვეწებოდი კარი გაგვემაგრებინა.

შეკრთა ჩემი ბატონი, სხვა რაღაც ეგონა და შითხრა:

— ბიჭო, რა მოხდა? რაზე ყვირი და თავგლეჯით კარსა ჰკეტავ?

— შენი ჭირიმე, ბატონო, აქ დარჩით, მკვდარი მოაქვთ აქ, ჩვენსა.

— როგორ თუ მკვდარი?

— გზაზე ვნახე და ცოლი მოსტიროდა: „ჩემო მეუღლე, ბატონოვო, სად მიჰყევხარ იმ უბედურ და სატირელ სახლში, შავსა და გასატიელებელში; იმ გასაოხრებელში, რომ არც ჭამა იციან და არც სმაო“. ბატონო, შენი ჭირიმე აქეთ მოასვენებენ.

რასაკვირველია, ჩემმა ბატონმა რომ ეს გაიგონა, თუმცა არაფერი სახუმრო არ იყო, ისეთ სიცილს და კასკასს მოჰყვა, რომ მუცელი ძლივს ეჭირა. ამ ამბავში მე კი კარი გადავრაზე და დამაგრებისათვის მხარი მივაბჯინე. ხალხმა კიდევ გაატარა ცხედარი, მე კი მეგონა ჩვენსა შემოასვენებენ მეთქი. ჩემი მოწყალე ბატონი ჯერ-ჯერობით სიცილით უფრო გამაძლარი იყო, ვიდრე სანოვაგითა, მოჰყვა ლაპარაკს:

— მართალია, ლაზარე, ქვრივის სიტყვაზე შენ ფიქრში გაგივლიდა, რასაც ამბობდი, მაგრამ კი ღმერთმა ინება ყოველიფერი უკეთ მოეწყო, ვიდრე შენ გეგონა და კიდევ გაიარეს. კარი გააღე და გასწი სადილისათვის.

— ბატონო, ჯერ ეს ქუჩა გაიარონ.

ბოლოს ბატონი გავიდა, კარი გააღო თითონვე; რადგან მე შემფრთხალი და დაფეთებული ვიყავი, ძლივს გამგზავნა. იმ დღეს მართალია კარგად ვისაძილეთ, მაგრამ ისე გემრიელად ვერ შევექეცი, მთელი სამი დღე ჩემ გუნებაზე ვერ მოვედი. ბატონი კი რაკი მოიგონებდა ამ ამბავს, სიცილს მოაყოლებდა.

ასე გავატარე რამდენიმე დღე რაინდთან, ამ ჩემ მესამე ლატაკ ბატონთან; ძალიან ვცდილობდი შემეტყო, რა მიზეზია, რომ ამ ქალაქში მოსულა და დაბინავებულა; პირველ დღიდანვე, რაც შევეხიზნე, მივხვდი, აქაური არ უნდა იყოს-მეთქი, რადგან ნაცნობი აქ ცოტა ჰყავდა. ბოლოს სურვილი ამისრულდა და რაც მინდოდა შევიტყე, ერთხელ რიჯიან მართებულ სადილის შემდეგ, კარგ გუნებაზე იყო, თავისი საქმეები მიაშობო და სთქვა, რომ ძველ-კასტილიელი იყო და დასტოვა სამშობლო ქვეყანა იმ მიზნით, რომ ქუდი არ მოუხადოს მეზობელ ვაჟბატონს.

— ბატონო, თუ კი როგორც ბრძანებთ, თქვენზე მდიდარი იყო, რა უკადრისობა იქნებოდა, რომ პირველად თქვენ დაგეკრათ თავი? თქვენვე ბრძანებთ, რომ ისიც მიკრავდამო.

— ეგ მართალია, რომ ისიც მიკრავდა; მაგრამ რადგანაც პირველად მე მრავალჯერ ქუდს ვუხდიდი, ხანდახან იმასაც, რომ წინდაწინ თავი დაეკრა, გვარიშვილობიდან რომ დიჩამოვარდებოდა.

— მე რომ მკითხვით, ბატონო, სულაც არ შევისადარებდი, მეტადრე თუ ჩემზე ხნიერია და მდიდარი.

— ყმაწვილი ხარ და არა გესმის რა პატიოსნებისა; ერთად-ერთი მთელი სიმდიდრე კეთილშობილის კაცისა ღლეს მარტო თავ-პატივია. გეუბნები, ხომ ხედავ რაინდი ვარ, აზნაური, ღმერთს ვფიცავ, გზაზე რომ დიდებული თავადი შემხვდეს და დიდის ზრდილობით ქუდი არ მომიხადოს, მეორე შეხვედრაზე სანამ ის მომიახლოვდებოდეს, მე ვეცდები სადმე შევიდე, ვითომ და საქმე მაქვსო, ან მეორე ქუჩაში შევივლი, თუ კი არის, იმიტომ, რომ თავი არ დაუკრა. ღვთისა და მეფის მეტი აზნაური არაფრით არავისი მოვალე არ არის და კეთილშობილ კაცს არ შეჰფერის დაუდევრად ეპყრობოდეს თავის ღირსების დაცვასა. მახსოვს, ერთხელ როგორ შევარცხვინე ერთი მოხელე ჩემ სამშობლოში, მინდოდა მეცემნა კიდევ, იმასთვის რომ ყოველ შეხვედრაზე მეტყოდა:

— უფალი იყოს თქვენის მოწყალების შემწეო.

— თქვენ ბატონო უზრდელი გლები ბრძანდებით-მეთქი. რას როტავთ „უფალი იყოს თქვენი შემწეო“, თითქოს ძალიან საჭირო იყოს-მეთქი. იმ დილიდან მოკიდებული ყოველთვის ქუდს მიხდიდა და მეტყოდა ხოლმე, როგორც მართებულია.

განა ცუდია, რომ მეგობარ კაცს სალამის მიცემის დროს უთხრა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწეო“,—გკითხე ბატონს.

— აბა იფიქრე ბიჭოვო,—მითხრა ბატონმა. დაბალ კაცის შვილს აგრე ეტყვიან ხოლმე, მაგრამ ჩემსავით მაღალ ღირსებისას სხვა გვარად როდი ელაპარაკებიან თუ არ ასე: ხელთკოცნას მოვახსენებ თქვენს მოწყალებას ან ასე მაინც: ხელს გიკოცნი ბატონო თუ მღმელაპარაკება, თქვენო კეთილშობილებავ. ამგვარად ვერ მოვითმინე, რომ იმ აზნაურს ჩემ სამშობლოში ასეთი სალამი მოეცა და არც არავის მოვუთმენ ქვეყანაზე მეფეს გარდა, რომ მეუბნებოდეს: „ღმერთი იყოს შენი შემწეო.“

„კიდევ ამიტომ ყოფილა მეთქი, ვიფიქრე, —რომ ღმერთო ასე ნაკლებად გწყალობს;

ვერ მოგიტმენია, როცა ამას შენთვის ვინმე უფალსა სთხოვს.“

— ისე სრულებით ლატაკი კი ნუ გკონივარ,—სთქვა მან. ერთი ნაჭერი მიწა ჭაქვს 60 მილზე ჩემ სამშობლოდან, ვალიადოლიდეს მშვენიერ ბორცვებ შუა; იქ, რომ სახლები აშენდეს, ორასი ათასი მარავედი დაჯდებოდა, რადგანაც ლაზათიანი მოწყობა და მორთვა მოუნდებოდა. ამას გარდა სამტრედე მაქვს ისეთი, რომ წელიწადში ორას მტრედს დაიტევდა, დაქცეული რომ არ იყოს, სხვა ბევრს ჩემს ქონებას აღარ ჩამოვთვლი. ყოველსავე-ამას თავი დავანებე, რადგანაც ჩემ ღირსება-პატიოსნებას შეეხნენ. მოვედი ამ ქალაქს განზრახვით, რომ კარგა მოვეწყო, მაგრამ რასაც ვფიქრობდი, ისე არ გამოვიდა. მართალია, აქ ბევრი წინამძღვარი და მღვდელია ეკლესიებში, მაგრამ ისე განმარტოებით ცხოვრობენ, რომ ქვეყანაზე აღამიანი ვერ შეუცვლის ყოფა-ცხოვრების ჩვეულებას. შუათანა აზნაურებიც კი მეპატიუებიან სამსახურში, მაგრამ მათი სამსახური მეძნელება, ამიტომ რომ აღამიანი ჩარვადრის ცხენად უნდა

გადიქცე, თუ არა და გზას გიჩვენებენ. ჯამაგირისა ხომ რაღა ვთქვა, ჯანჯლები არიან და უფრო ხშირად მარტო ულუფის ამარასა ხარ. თუ კი როგორმე სვინილისი სტანჯავს, გულის დასამშვიდებლად სამსახურის სამაგიეროდ გაჩუქებენ გაქონილ კაბას, ან წამოსასხამს და ან ქუდს. თუ დიდ კაცთან მოეწყე, კიდევ იმასთან შეიძლება კაცი იოლად წავიდეს. ღმერთმანი, თუ ამისთანა შემხვდა, მგონია მალე მოვიმადლიერებდი. ათასგვარ სამსახურს გაუწყევდი, ამიტომ რომ სხვაზე ნაკლებად ტყუილების ლაპარაკი არ გამიჭირდებოდა და ათასგვარ ოინებით ვასიმოვნებდი. შეცინებით მოუწონებდი ყოველგვარ მოქმედებას, თუნდაც რომ საამისო მარჯვეც არ მოსელოდა; არას დროს იმისთანას არ ვეტყოდი, რომ სწყენოდა, თუნდაც რომ სათქმელი ყოფილიყო. პირში ერთგულებას ვუჩვენებდი, სიტყვითაც და საქმითაც. იმაზე კი, რასაც ვერ დაინახავდა, თავს არ გავიცინებდი; მსახურებს იქ დაუწყებდი ლანძღვას, საცა კი ყურის მოკვრა შეეძლო, რომ ეფიქრა, ჩემ საქმეზე გული შესტკივა და უფრ-

თხილდებო. მოსამსახურე ვისზედმე რომ გ  
მწყრალიყო, მოვახერხებდი ცეცხლი შემეკეთა,  
მაგრამ ისე ვიზამდი, თითქოს მსახურს ვესარ-  
ჩლებოდე. კარგს ვილაპარაკებდი ყოველი-  
ფერზე, რაც იმას მოსწონდა და დავიწუნე-  
ბდი, სასაცილოდ ავიგდებდი, ვინც იმას არ  
მოსწონდა, ვეცდებოდი სხვის აფლები შემე-  
ტყო, რომ ამბავი მომეტანა; გამოვიკითხავდი  
მეფის კარზე რა ახალი ზრდილობა შემოუღიათ  
და რა მოსწონთ კარის-კაცებს, რომელთაც  
თავის სახლში არ ეპიტნავენათ გულ-კეთი-  
ლი ადამიანი, პირსაც არიდებენ, არაფრად  
არ აფასებენ და მოკლე ჭკუის უსაქმო კაცად  
სთვლიან, ასე რომ გართობაც არ შეიძლება  
იმათთანაო. ამისთანა ბატონებთან, როგორც  
ვთქვი, გაიძვერა კაცებმა კარგად იციან მოე-  
წყონ, მეც კი შემეძლო მოვთავსებულყავ,  
მაგრამ ბედი ხელს არ მიმართავს.

ასე უჩიოდა თავის ბედშობას ჩემი ბა-  
ტონი, როდესაც მიამბო თავის ბატონკაცობის  
ამბავი. ამ დროს შემოვიდა ოთახში ვიღაცა  
კაცი და შემოჰყვა მოხუცი დიაცი. კაცმა მოს-  
თხოვა სახლის ქირა და დიაცმა—ლოგინისა.

ჩამოუთვალეს და ორის თვისათვის უანგარიშეს იმდენი მისაცმი, რომ ერთ წელიწადსაც ვერ იშოვიდა: თორმეტ-ცამეტი რეალი.—მოსწრებულად უთხრა ჩემმა ბატონმა, რომ ბაზარში წავალ, ფულს დავახურდავებ და სალამოს მოდით მისაღებადაო, მაგრამ წავიდა და აღარ დაბრუნდა, ასე რომ როცა ისინი სალამოს მოვიდნენ, ძალიან გვიან იყო. მე ვუთხარი, ჯერ არ მოსულა-მეთქი. დაღამდა, ბატონი მაინც კიდევ არ ჩანდა. შემეშინდა შინ მარტო დავრჩენილიყავი და მეზობელ ქალებთან გავიქეცი, ვუამბე რაც მოხდა და იმათსა დავიძინე. დილა გათენდა თუ არა, მევალეები მოვიდნენ და მეზობელ ქალებს გამოჰკითხეს ჩემი ბატონის ამბავი, მაგრამ არაფერი გამოდნა. ქალებმა უპასუხეს:

— აი მისი ბიჭი აქ არისო და სახლის გასაღები ამასა აქვსო.

ახლა მე გამომკითხეს. მე ვუთხარი, არ ვიცი სად არის-მეთქი, არც დაბრუნებულა მას შემდეგ, რაც ფულის დასახურდავებლად წავიდა და ასე მგონია-მეთქი ფულის დახურ-

დავება მიზეზად მოიგონა და თქვენც გაგე-  
ქცათ და მეცა-მეთქი.

ეს რომ გაიგონეს, მაშინვე ალგვაზილთან,  
(პოლიციის მოხელესთან) და მწერალთან წა-  
ვიდნენ და მოიყვანეს. გამომართვეს გასაღები,  
დამიძახეს მეც და სხვა მოწმეებიც. გააღეს  
კარი, შევიდნენ რომ ავეჯი დაბეჭდონ ვალის  
გადახდამდის. მთელი სახლი მოიარეს და ცა-  
რიელი რომ ნახეს, მე მომადგნენ.

ავეჯი სად არის ბატონისა; სად არის  
სკივრი, მებელი და სურათებიო?

— არ ვიცი-მეთქი.

— უეჭველად წუხელის დაუმაღავს, ან  
სადმე გადაუტანია. ბატონო ალგვაზილო, ამ  
ბიჭს ხელი მოავლეთ: ეცოდინება ავეჯი საცაა.

ალგვაზილი მოვიდა, საყულოში ხელი მო-  
მავლო და მითხრა:

— აბა ბიჭო, თუ არ იტყვი სად არის  
შენი ბატონის ქონება, საპყრობილეში დაგამ-  
წყვდევო.

რადგან ამისთანა შემთხვევა თავს არ გა-  
დამხდოდა, რომ კისერში ხელი მოევლოთ  
(ვთქვით, ბრმამ კი იცოდა საყულოში ხელის

ზოვლება, მაგრამ რბილად იცოდა, რომ უსანათლოს გზა ვუჩვენო), ამაზე შევწინდი და ტირილით დავპირდი, რასაც მკითხავთ, გეტყვით მეთქი.

— მაშ კარგო, ნუ გეშინია, აბა გვითხარი, რაც იციო.

მწერალი სკამზე დაჯდა, რომ ქონება ასწეროს; მკითხა, ბატონს რა აქვსო.

— აი ბატონებო, ჩემ ბატონს, როგორც თითონა თქვა, კარგი ნაჭერი მიწა აქვს შენობითა და დაქცეული სამტრედითა.

— კარგი ყოფილაო, თქვეს მათ, თუმცა კი კაი ფასი არა აქვს, მაინც კი შეიძლება ჩვენი ვალი ვიზლოთო. ახლა გვითხარი, ქალაქის რომელ უბანშიაო, მკითხეს.

— თავის სამშობლო ადგილსა მეთქი.

— ღმერთმანი, საქმე მოდისო. რომელია მისი დედა-ქვეყანაო? მკითხეს.

— ბატონი ამბობდა, ძველ კასტილიაშიო, ვუპასუხე.

ალგვაზილმა და მწერალმა ამაზე ასტებეს სიცილი და თქვეს:

— ეს რასაკვირველია, კმარა, რომ თქვენო

ვალები გაისტუმროსო, რაც უნდა დიდი ვალი იყოსო.

მეზობელი ქალები აქ დამსწრენი გამომესარჩლენ:

— ბატონებო, ამ ყმაწვილს დანაშაული არა აქვს, უბრალოა. დიდი ხანი არ არის, რაც ამ აზნაურთან დგას და რაც თქვენ იცით, მეტი არ იცისო. საწყალი მალ-მალ ჩვენსა მოდიოდა და სამადლოდ რაც გვქონდა, ვაჭმევდით, მარტო ღამე თუ წავიდოდა ბატონთან დასაძინებლადო.

ნახეს, რომ უბრალო ვიყავი და თავი დამანებეს. ალგვაზილმა და მწერალმა კაცსა და დიაცს გასამრჯელო მოსთხოვეს, ამაზე ერთი აურზაური ასტყდა. ერთი მხარე უარს ეუბნებოდა, გასამრჯელო არ გერგებათ, რადგან ასაღები არა გამოჩნდა რა და აწერა არ იქნაო; მეორე მხარე ამბობდა, სხვა საქმეს თავი დავანებეთ უფრო სასარფოსაო. ბოლოს ხანგრძლივის ცილობის შემდეგ ძველი ქვეშაგები მოხუცის დიაცისა აჭკიდეს პოლიციის მსახურს, თუმცა საიმისო მძიმე არ იყო, მაგრამ ხუთ კაცს ხელი ეჭიდა და წივილ-კი-

ჭილით გაიტანეს, არ ვიცი როგორ გაათავეს საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ უბადრუკი ლეიბი ყველა მოვალეს გაუსწორდა და ამგვარად მოლვაწეობა ჯაიწყო. ამიტომ რომ, როცა გაქირავებული იყო, განსვენებაში იმყოფებოდა და ისვენებდა ჯაფის შემდეგ. ასე ამ გვარად დამტოვა მესამე საწყალმა ბატონმა და საბოლოოდ შევიტყე ჩემი ბედშავობა. ჩემი ბედი ყოველიფერში მტრად შექცეოდა და ჩემი ყოფა სულ უკუღმართად გადააბრუნა, ამიტომ რომ, ჩვეულებრივად მსახურები გადიან თავის ბატონებისაგან, მე კი სულ უკუღმა დამემართა: ბატონმა დამტოვა და გამექცა.

## თავი მეთხე

### ლაზარე როგორ ცხოვრობდა ბერთან და რა დაემართა

მეთხე ბატონი უნდა მომეძებნა და ვიპოვე ერთი ბერი. იმ დედაკაცებმა მიმიყვანეს, წინად რომ მოგახსენეთ. ჩვენი მოყვარე ნათესავიაო, — მეუბნებოდნენ. ეს ბერი მეტი-მეტი მტერი იყო სამღვდელოებისა და მონასტრის ზოგად სადილისა; სასჯელად ეკისრა სულ მონასტრის გარე-გარე ხეტიალი, წუთი სოფლის საქმეებისა და სტუმრების მოყვარული იყო და მგონია, ფეხსაცმელი იმას მეტი გაეცვითა, ვიდრე მთელ მონასტერსა. ჩემ სიცოცხლეში პირველი ფეხსაცმელი მან ჩამაცვა, ერთ კვირას არც კე გამიძლო და აბა როგორ გამიძლებდა დღე და ღამ ნათრევი. ამა და სხვა მიზეზების გამო, რომელსაც არ ვლაპარაკობ, ამასაც თავი დავანებე.

## თავი მეხუთე

**ლაზარე პაპის ბულლების გამყიდავ-  
თან როგორ იმყოფებოდა და მისი  
თავ-გადასავალი**

მეხუთე ბატონად ბედმა მომივლინა პაპის  
შენდობის ქალაქების (ბულლების) გამყი-  
დავი, რომელიც საკვირველის მოხერხებით  
ასალებდა; ისეთი დიდი გაქნილი და მოური-  
დებელი ბერი იყო, რომ ჩემს დღეში ამის-  
თანა ადამიანი არ მინახავს, არც მგონია  
ვნახო როდისმე და ვფიქრობ, არავისაც არ  
შეხვედრია. შენდობის ქალაქების გაყიდვის  
საშუალებისათვის ყოველგვარ ოსტატობას გა-  
მოსძებნიდა ხოლმე და ზერხებს ხმარობდა.  
საცა კი მივიდოდა გასაყიდად, იქაურს წი-  
ნამძღვარს და მღვდლებს მისართმევად მიუ-  
ტანდა ხოლმე, ვთქვათ საიმისო გამოსადეგ

და ძვირს რასმე კი არა, — მურსიის სალა-  
თას, თუ მოსავლის დრო იყო, ერთ წყვილ  
ლიმონს, ან ფორთოხალს, ატამს ან ამგვარ  
რასმე. ამ სახით ცდილობდა მოემადლიერე-  
ბინა ისინი, რომ ხელი გაემართათ ბულლე-  
ბის გაყიდვაში და მრევლი წაეხალისებინათ  
ყიდვაზე. სამღვდელოების გულს რომ მოი-  
გებდა, ახლა უნდა შეეტყო, როგორი მსწავ-  
ლულები არიან. თუ ეტყოდნენ, რომ ლათი-  
ნური ენა ვიცითო, ბორძიკის ასაკდენად ამ  
ენაზე არ ილაპარაკებდა და საუბრობდა  
მხოლოდ მშვენიერის წმინდა ესპანიურის  
ენით. თუ კი დაატყობდა, რომ ზემოხსენე-  
ბულ სამღვდელოებას უფრო ფულისაკენ უჭი-  
რავთ თვალი, ვიდრე მეცნიერებისაკენ, მა-  
შინვე თავს მოიწმიდა-თომებდა და მთელ  
ორ საათს ვითომ ლათინურს ენაზე ელაპა-  
რაკებოდა, თუმცა ნამდვილი ლათინურისა  
არაფერი იყო. რადგანაც გრძელი ლაპარაკი  
მომიხდება, ყველა იმისი ოინები რომ ჩამოვ-  
თვალო, რაც მე მინახავს, ამისათვის მარტო  
ერთს მოხერხებულ და ოსტატურ საქმეს

გიამბობთ, რომელიც დაგანახვებთ, რა მოს-  
წრებული ჭკუისა იყო.

ტოლედოს საეპისკოპოსოს ერთ ადგილს  
ორ-სამ დღეს მისებურ ბეჯითობით ქადაგებ-  
და, მაგრამ შენდობის ერთი ქალაქი ვერ  
გააჩიდა და ეტყობოდა, არც არავინ ფიქ-  
რობს ყიდვასაო. ჯავრით აღარ იცოდა რა  
ექნა და იმის მოსაზრებაში იყო, რა მოვაწ-  
ყოფო და ბოლოს გადასწყვიტა, მეორე დღეს  
ხალხი შეჰკრიბოს, რომ ბულლები გაასალოს.  
იმ საღამოს ვახშმათ უკან თამაშობა გაიმარ-  
თა ალგვაზილთან (პოლიციის მოხელესთან).  
თამაშობის დროს წაიკიდნენ იმდენად, რომ  
ერთმანეთი გამოლანძღეს. ბერმა პოლი-  
ციის მოხელეს ავაზაკი დაუძახა, მან კიდევ  
მატყუარა. ამაზე ჩემმა ბატონმა ბერმა ხელი  
მოავლო რაღაცა შუბს, რომელიც იქვე საცა  
თამაშობდნენ ხელში ჩაუვარდა, ალგვაზილმა  
იშიშვლა ხმალი. ვინც ვიყავით, ჩვენს წი-  
ვილ-კივილზე სასტუმროს სტუმრები და მე-  
ზობლები მოგროვდნენ და გაშველება დაიწ-  
ყეს. ისინი კი გულმოსულები ერთმანეთზე  
იწევდნენ; მაგრამ რაკი ხალხით აივსო ოთა-

ხი და ნახეს რომ იარაღით ერთმანეთზე ველარას გახლებიან, დაუწყეს ერთმანეთს ლანძღვა. ალგვაზილმა დაუძახა ჩემ ბატონს, შენ მატყუარა ხარო; შენდობის ქაღალდებს რომ ჰყიდი, ყალბიაო. ხალხის გროვაში ზოგმა რომ ნახა ჩხუბს არ ათავებენ, ალგვაზილი ოთახიდან გაიყვანეს, ეგებ აქაურობა დავაწყნაროთო. ამ გვარად ჩემი ბატონი მარტო დარჩა საშინლად გაანჩხლებული. იქ მოსულები და მეზობლები შეეხვეწნენ დამშვიდებულიყო და დაეძინა. ჩვენც გავუგონეთ და დავიძინეთ.

მეორე დღეს ჩემი ბატონი საყდარში წავიდა, რომ წირვის დროს იქადაგოს და ბულები გაასალოს. ხალხი შეიკრიბა და ბევრნი ყაყანებდნენ, შენდობის ქაღალდები თურმე ყალბიაო, და პოლიციის მოხელემ შელაპარაკებაში წამოიყრანტალაო. ამის გამო, ვისაც კი ცოტაოდნე სურვილი ჰქონდა ეყიდა, ეხლა სულ უარზე იყო.

ჩემი ბატონი ბერი საქადაგებელ ადგილს ავიდა და დაუწყო ხალხს ქადაგება: ნუ მოაკლებთ თქვენ თავს ცოდვების შენდობის მა-

დღსაო, რომელსაც მოგანიჭებს წმინდა მამის ბუღლაო. როდესაც ქადაგება მივიდა ძალიან საინტერესო ადგილს, საყდარში შემოვიდა ჭლგვაზილი, დაიჩოქა, ილოცა, მერმე ადგა და მალალის ხმით მკაფიათად და წყნარად წამოსთქვა:

— პატიოსანნო ძმანო, მოშისმინეთ, რაც მოგახსენოთ და როცა მომისმინოთ, განსაჯეთ როგორც გეპრიანებოდეთ. მე აქ მოვედი ამ ცრუპენტელა მოქალაქესთან, რომელიც ხელიდან გამისხლტა; ეს მე მთხოვდა ბულღების გაყიდვაში ხელი გამიმართეო და რასაც მოგებას ვნახავ, შუაზე გაგიყოფო. ახლა მივხვდი რა ვნება უნდა მოუტანოს ჩემ სვინდისს და თქვენს ქონებასა, შევინანე ჩემი ბრალეულობა და გიცხადებთ, რომ მისი შენდობის ქაღალდები ყალბია, არ შესცდეთ, არ დაუჯეროთ, არ იყიდოთ და იცოდეთ რომ არც ახლოს და არც შორიდან მის საქმეში არ ვურევივარ. და თუ გამომქლავნდა მისი მატყუარობა, თქვენ ყველანი მოწამე იყავით, რომ მე ამასთან საქმე არა მქონია და არც რამე შემწეობა გამიწევია; ამას წინ-

და წინვე ვაცხადებ, რადგანაც მინდა რომ  
ამისი ბოროტი განზრახვა გამოაშკარავდეს.

ასე გაათავა თავისი სიტყვა პოლიციის  
მობელემ. ზოგიერთმა საპატიო კაცმა, რომე-  
ლიც ახლო იდგა, დააპირა ალგვაზილის გა-  
რეთ გამოყვანა, ჩხუბი არ ატყდესო; მაგრამ  
ჩემმა ბატონმა ბერმა აუკრძალა, ნუ დაუშ-  
ლით, თორემ ეკლესიისაგან შეჩვენებული  
იქმნებითო; უბრძანა, ათქმევინეთ ყველაფე-  
რი, რაც სათქმელი აქვსო; თვითონ გაჩუმდა,  
სანამ ალგვაზილი გაათავებდა თავის ლაპა-  
რაკს, რაც მოგახსენეთ. როცა მორჩა, ჩემმა  
ბატონმა ბერმა ჰკითხა, თუ კიდევ სათქმელი  
გაქვს რამე, თქვიო. ალგვაზილმა უპასუხა:

ბევრი რამა მაქვს სათქმელი თქვენზედაც  
და თქვენს თვალთ-მაქცობაზედაც, მაგრამ  
დღეს ესეც გეყოფაო.

მაშინ ჩემმა ბატონმა დაიჩოქა, ხელი შეჭ-  
ყარა და თვალი შეაპყრა ცას და დაიწყო:

— ჰოი, უფალო, შენ ხარ ყოვლისა მხილ-  
ველი, რომლისაგან არა არს რა დაფარული!  
შენ ხარ ყოვლად შემძლბელი, რომლისათვის  
არა არს რა შეუძლებელი, შენ უწყვი მარ-



თალი და იხილე, რაოდენ უსამართლოდ შეურაცხებულვარ; მიმიტევებია, უფალო, ჩემი შეურაცხება, რათა შენ მომიტოვო ცოდვანი. შეუნდე მას, რამეთუ არ უწყის, რასა იქმს. ხოლო გევედრები, რათა სიმართლისათვის არ დაჰფარო შეურაცხება, რომელიც შენ, უფალო, მოგაგო; რათა აქ მდგომარეთა, ვისაც სურდა წმინდა ბუღლის აღება, არ დასტოვონ თავისი კეთილი განზრახვა და არ დაუჯეროს სიცრუესა ამა კაცისასა. გევედრები, უფალო, მოავლინე სასწაული და აღსრულდეს იგი ესრედ: უკეთუ ჭეშმარიტია ამ კაცის სიტყვა და მე ბრალეული ვარ სიცრუეში და მატყუარობაში, გასქდეს დედა-მიწა და ისე ჩამიტანოს, რომ იქიდან ვერასოდეს ვერ ამოვიდე. ხოლო უკეთუ მართალია, რასაც მე ვამბობ და ამა მსახურმა ეშმაკისამან ჰგმო, რათა მოაკლოს აქა მდგომარე ერსა დიდს მადლსა, მაშინ მოვევლინოს მას სასჯელი და გამოჩნდეს მისი ბოროტი განზრახვა.

ის იყო, ჩემმა კეთილ-მსახურმა ბატონმა ძლივს დაასრულა თავისი ვედრება, რომ

აღგვაზილი თავისი ადგილიდან გადმოვარდა და ისე მძიმედ დაეცა იატაკზე, რომ მთელ საყდარში ზანზარი მოისმა; მოჰყვა რალაც გვარად ყმუილს, პირიდან ღუჯის წამოდენას, სახის მანჭვას, ბაგე-პირის გრეხას, ხელ-ფეხს აწყვეტდა, იატაკზე გორავდა და ტრიალებდა. ხალხში ისეთი ალიაქოთი და ხმაურობა ატყდა, რომ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ-რა. ზოგი თავზარდაცემული შიშისაგან, ხმას ველარ იღებდა, ზოგი ამბობდა — ღმერთო შეეწიე და მოარჩინეო; ზოგი — ეს იმის სამაგიერო მოუვიდა, რომ სიცრუით შეემოწმაო. ბოლოს ზოგი გვერდთ მდგომი მიდიოდა შესამჩნევის შიშით და კანკალით, ხელს უჭერდა, მაგრამ კაი-კაი მუშტებიც ხვდებოდა; ზოგი ფეხით მიათრევდა და მაგრად ეჭირა, რადგან ისეთ წიხლებს ისროდა, რომ არც ერთი სახედარი ისე გამწარებით არ იზამს. ამისთანა ყოფა კარგა ხანს იყო. თხუთმეტრიოდ კაცი ამას მოუნდა და გაუჭირდა საქმე; თუ ვინმე პირს გააღებდა, პირდაპირ ცხვირპირში უთავაზებდა. მთელ ამ ალიაქოთის დროს ჩემი ბატონი დაჩოქილი,

ხელებ და თვლებ აპყრობილი ცის მი-  
მართ ისეთ ღვთისნიერ გულ-მხურვალეებაში  
იყო, რომ ვერც ტირილმა, ვერც წივილ კი-  
ვილმა და ატეხილმა ხმაურობამ საყდარში  
ვერ გამოიყვანა იგი საღმრთო მზერისაგან.

ზოგნი გულ-კეთილნი ადგნენ, მივიდნენ,  
ჩემ ბატონთან, გამოათხიზლეს ღვთისნიერ  
გულ-მხურვალე ლოცვისაგან, შეეხვეწნენ მო-  
ხედოს წყალობის თვალით ამ უბედურსა,  
რომელიც სიკვდილს მიღწეოდა, სთხოვდნენ  
დაევიწყა, რაც მოხდა, არად ჩაეგდო მისი  
ბოროტი სიტყვები, რომლისათვისაც მან  
სამაგიერო სასჯელი კიდევ მიიღო. თუ შე-  
გიძლია შეეწიო და ტანჯვა შეუმსუბუქო,  
ღვთის სადიდებლად სიკეთე უყავითო, რად-  
განაც ახლა ყველა ჰხედავს ბრალს ბრალე-  
ულისას და შენს სიმართლესაო; შეევედრე  
ღმერთსა, რომ შენი ვედრება შეისმინოს და  
უბადრუკს სასჯელი მოუსპოს. ჩემმა ბატონმა  
თითქოს გულიანის ძილისაგან გამოთხიზლე-  
ბულმა, თვალი გადაავლო მრევლს, დააც-  
ქერდა ბრალეულს, ყველა გარშემო მდგომა-  
რეთა და აუჩქარებლად წამოსთქვა:

— გულ-კეთილნო ძმანო, თქვენ არას დროს არ უნდა იხვეწებოდეთ შეენდოს იმისთანა ადამიანს, რომელზედაც უფალმა ცხადად გამოაჩინა თვისი ძლიერება. გარნა ვინაიდან იგი გვიბრძანებს არა მივაგოთ ბოროტისათვის ბოროტი, არამედ მიუტევოთ შეურაცხება ჩვენ ძალ-გვიძს შევევედროთ, რაკი დარწმუნებული ვართ, რომ იგი აღასრულებს, რასაც გვიბრძანებს და ღვთაებრივი მისი ძლიერება შეუნდობს მის შეურაცმყოფელს, რომელსაც სწადლოდა დაებრკოლებინა, ეწამათ მისი წმინდა სარწმუნოება. შევავედროდ და ვილოცოთ ყველამ.

ჩამოვიდა საქადაგებელ ადგილიდან და იქ მდგომარეთ სთხოვა თავმდაბლად ილოცონ, რომ უფალმა ჩვენმა ინებოს შენდობა ცოდვილისა და დაუბრუნოს სიმართლე და გონება. განასხას მისგან ეწმაკი, თუ მიუშვია, რომ მძიმე ცოდვათა გამო ამ კაცში შესულიყო.

ყველამ მუხლი მოიდრიკა და სამღვდელთგებასთან ერთად ნელის ხმით იგალობეს ტრაპეზის წინ ლითანია; ხოლო ჩემი ბატონი გალობის შემდეგ ჯვრით და აიაზმის წყლით

ზელში მივიდა პოლიციის მოხელესთან, ხელე-  
ბი ზედ განართხა და თვალები ზეცისაკენ აღაპ-  
ყარა ისე რომ, თვალის კაკლები ძლივს-ღა  
უჩანდა, წარმოსთქვა გრძელი და მხურვალე  
ლოცვა, რომლისაგან მთელი ხალხი ისე ატირ-  
და, როგორც ხოლმე კარგ მოქადაგეს შეუ-  
ძლია ღვთისნიერი მსმენელი ვნების კვირას  
ქრისტეს ტირილისათვის აღძრას. ევედრე-  
ბოდა უფალსა ჩვენსა, რომე არა მოაკვდინოს ეს  
ცოდვილი, არამედ მიანიჭოს სიცოცხლე შე-  
ნანებისათვის, ვინაიდან ეშმაკმა შეაცდინაო  
და მომაკვდინებელის ცოდვისაგან მოუვიდა;  
ევედრებოდა, უფალმა აპატიოს, სიცოცხლე  
და ხსნა მოანიჭოს, რომ შეიძლოს თვისი ცო-  
დვა მოინანიოს.

ამ სიტყვასთან მოატაინა შენდობის ქალ-  
ალდი და თავზე დაადვა. მაშინათვე ცოდვილი  
ალგვაზილი უკეთ შეიქნა და ნელ-ნელა გონს  
მოვიდა. როდესაც სრულებით ცნებას მოვიდა,  
ფეხებში ჩაუვარდა ჩემ ბატონს და შენდობა-  
ითხოვა, აღიარა, რომ რაცა ვთქვი, ეშმაკის  
მანქანებით და მისი პირით ვლაპარაკობდიო,  
პირველად იმიტომაო, რომ ვნება მომეცა და

წყენისათვის სამაგიერო გადამეხადაო და მეორედ უმთავრესად იმიტომ, რომ ეშმაკს შურდა ის მაღლი, რომელსაც შენდობის ქალაქის მყიდველი მიიღებდაო. ჩემმა ბატონმა შეუნდო და მათ შორის ჩამოვარდა ისევ მშვიდობა და მეგობრობა. დიდი და პატარა ყველა ისეთის ხალისით შეუდგა ბუღლების ყიდვასა, რომ მთელ სოფელში ადამიანი არ დარჩა ბუღლა არ ეყიდა, ქმარი, ცოლი, ვაჟი, ქალი, მსახური, მოახლე ყველა ყიდულობდა. ეს ამბავი გარშემო სოფლებში ისე მოეფინა, რომ როცა იქ მივდიოდით, აღარც ქადაგება იყო საჭირო, აღარც საყდარი, ამიტომ რომ საცა კი ჩამოვხდებოდით, ბუღლის საყიდლად ყველა პირდაპირ ჩვენთან მოდიოდა, თითქოს ხილზე ყურთაგლეჯა იყოსო. ამის გამო ჩემმა ბერმა იმ მზვარეს ათ-თორმეტ სოფელში უქადაგებლად ათასი ბუღლა გაასაღა.

უნდა ვაღვიარო, რომ სხვებსავეთ მეც ამ მახეში გავები და მართალი მეგონა, რაც საყდარში მოხდა. მაგრამ შემდეგ შევატყე, ალგვაზილი და ჩემი ბატონი რომ მოჰყვებოდნენ.

ხუმრობას და სიცილს თავიან ჩადენილზე, მიე-  
ხვდი რა რიგად მოტყუებული ვიყავი ჩემის  
მსწავლულის და გამომგონებელ ბატონისგან  
და ვფიქრობდი, კაი ოსტატობა სცოდნია  
მეთქი.

„ეს მატყუარები რამდენ გულ უბრყვილო  
კაცებს მოაღორებენ“ მეთქი.

ამ ჩემ მეხუთე ბატონთან ოთხიოდ თვეს  
ვიყავი, იმასთანაც ცოტა გაჭირება გამოვიარე.

## თავი მეთექვსე

**ლაზარე როგორა ცხოვრობდა საყდრის  
წინამძღვართან და თავს რა გადახდა**

შემდეგ ვემსახურებოდი ერთ მხატვარს, რომელიც დაირებზე ხატავდა; ფერად წამლებს ვუღესავდი და ბევრი წვალეზაც გამოვიარე. ამ ხანებში მე კარგა შეღებებული ბიჭი ვიყავი და ერთხელ დიდ საყდარში თვალი მომკრა წინამძღვარმა, ამიყენა სამსახურისათვის, მომცა ერთი სახედარი, ოთხი კოკა და ერთი შოლტი და წყლის მზიდავი გამხადა ქალაქის სახლებში. ეს პირველი ხარისხი მომეცა, რომ უკეთეს ცხოვრებაში შევსულიყავი. დღეში უნდა მიმეცა, ჩემი ბატონისათვის ოცდაათი მარავედი, თუ ამაზე მეტი საშოვარი მექნებოდა და აგრეთვე მთელი შაბათის შემოსავალი, სულ მე უნდა მიმეღო. ეს ხელობა

ისე კარგა წარმემართა, რომ მეოთხე წლის  
თავზე ჩემის შენახულის ფულით მოვახერხე  
მეყიდნა ნაცვამი ტანისამოსი და რიგიანად  
გამოვწყობილიყავ. ვიყიდე ბამბის სახლებიანი  
კაბა, ბუზმენტით მოვლებული, წამოსასხამი და  
ხმალი ძველის კუსლარის ფოლადისა. როდესაც  
პატროსანის კაცის ტანისამოსით გამოვე-  
წყე, ჩემ ბატონს ვუთხარი, რომ თქვენი სა-  
ხედარი მიირთვით, რადგანაც ეს ხელობა  
აღარ მომწონს მეტქი.

## თავი მუშვიდი

### როგორ ცხოვრობდა ლაზარე ალგვაზი- ლთან და თავს რა გადახდა

საყდრის წინამძღვრისაგან რომ გამოვედი, ალგვაზილთან დავდექი, მაგრამ დიდხანს არ დავრჩი, რადგანაც იმასთან სამსახური საფათერაკო მეჩვენა, მეტადრე მას შემდეგ, რაც ერთ ღამეს ჩემ ბატონს და მე გამოგვიდგნენ გამოქცეული ტუსალები კეტებით და ქვით და ჩემი ბატონი მიბეგვეს, როდესაც ის შედგა; მე კი ვერ მომეწივნენ, ამის გამო თანამდებობას თავი დავანებე. ამ ჟამად ფიქრში ვიყავი რავარი ცხოვრება მოვაწყო-მეთქი, რომ დამშვიდებული სიცოცხლე მქონდეს და სიბერეში გამოსაყენებელი რამ შევიძინო მეთქი. ღმერთმა გონება გამინათლა, მიჩვენა ჭეშმარიტი გზა და განოსადეგი სახსარი ცხოვ-

რებისა. მეგობრების შეწევნით და ბატონ-კაცების წყალობით. რაც აქამდის ნაკლებულემა და ჯაფა გამეწია, სულ მის მაგიერი მომეცა იმით, რომ საწადელს ვეწიე, ეს იგი სახელმწიფო სანსახურს; ვხედავდი, რომ ისე კარგად არავინა ცხოვრობს, როგორც სახელმწიფო სამსახურნი თანამდებობის კაცები. ახლაც დღევანდლამდე ჩემ თანამდებობაში ვიმყოფები, ვემსახურები უფალსა ღმერთსა და თქვენ ჩემ მწყალობელსა. ჩემი თანამდებობა გახლავს გამოვაცხადო ქალაქში რა და რა გასასყიდი ღვინოებია, აუქციონი, დაკარგული ნივთები, გავყვე სასამართლოსაგან დასჯილებს და ხმა-მალლა გამოვაცხადო მათი დანაშაული; ერთი სიტყვით, მე გახლავარ მძახველი ისე გავოსტატი და ისე აღვილადაც მოვეწყე, რომ რაც კი ჩემ თანამდებობას შეეხება, ყოველმა საქმემ უეჭველად ჩემ ხელში უნდა გაიაროს; ასე რომ ვისაც ქალაქში ღვინის გასაღება უნდა, ან სხვა რისამე გაყიდვა, სარფით ვაჭრობას არ მოელის, თუ ტორმესელი ლაზარე არ ურევია.

ამასობაში სან-სალვადორის საყდრის წი-

ამძღვარმა ჩემმა ბატონმა და თქვენის პატი-  
ოსნების მეგობარმა, რადგანაც მის ღვინოების  
განცხადება მომიხსენებია თქვენთვის, რაკი ნა-  
ხა ჩემი გამჭრიახობა, რაგიანი ცხოვრება,  
ზრუნვაში შევიდა, მოდი და ჩემ მოახლე ქალს  
ამას შევრთავო. მეც ვნახე, რომ ამისთანა  
ქალისაგან სიკეთისა და სარგებლობის მე-  
ტი არა გამოვარა, თანახმა გავხდი ჯვარის-  
წერაზე, შევირთე ის ქალი და აქამდის სანა-  
ნურად არამაქვს; იმას გარდა რომ გულ-კე-  
თილი და კარგი მეოჯახეა, ბატონი წინამ-  
ძღვარიც კარგი მფარველი და შემწე ვიშოვე.  
ასე რომ მუდამ წელს ხან ფქვილს შემოგვაწევს,  
ყოველ სააღდგომოდ ხორცს, ხან ორიოდ  
პურს, თავის ნაცვამ შალვარს, რომელსაც  
ალარ ხმარობს. სახლი თავის ახლო დაგვაქე-  
რინა და თითქმის ყოველ კვირა უქმე დღეს  
მასთან ვართ სადილათ. რასაკვირველია, ავი-  
ენა არსად არა მოაკლდება და ჩვენც არ გვა-  
სვენებენ; ლაპარაკობენ, არ ვიცო, მაგრამ ეს  
კი ვიცო, რომ ვხედავთო, ლაზარეს ცოლი წი-  
ნამძღვართან დადის, ლოგინს უშლისო და  
სადილს უკეთებსო. ღმერთმა ინებოს რომ



ტყუილი იყოს. ჩემი ცოლი ისეთი დედაკაცი არ არის, რომ ამგვარ ჭორებს ყური უგდოს, ხოლო ჩემი ბატონი კი რაღაცას მპირდება და იმედი მაქვს, აასრულებს კიდევ. ერთხელ ჩემი ცოლის ყოფნის დროს დიდხანს მელაპარაკა:

— ლაზარე ტორმესელო, კარგი არაფერი დაემართება, ვინც ლიყაფ ენას ყურს ათხოვებსო, იმაზე ვლაპარაკობ, რომ მე სრულმდოთ არ გამაკვირვებს, თუ ვინმე რასმე ლაყბობს, რომ შენი ცოლი ჩემთან დაიარება. მე თავდები ვარ, არც შენ პატიოსნებას და არც მის პატიოსნებას არა მოაკლდება რა ჩემთან სიარულით, ამიტომ ნუ დასდევ რასაც ილაპარაკებენ, შენ მხოლოდ იმას უყურე, რაც შენ შეგეხება. შენის სარგებლობისათვის გეუბნები ამასო.

— ბატონო, თქვენ კეთილ რჩევას მოვდევმეთქი. მართალია, ზოგი ჩემი მეგობრები რაღაცაებს მეუბნებოდნენ და სამჯერ მეტად კიდევ მარწმუნებდნენ, რომ სანამ ცოლად მოგყვებოდა, სამჯერ მოუმშობიარებიაო, სიმდაბლით მოგახსენბთ თქვენს მოწყალებაზე.

ამ სიტყვასთან ჩემმა ცოლმა ისეთ წყევლა  
კრულვას მოჰყვა, რომ მეგონა, აგერ დედა-მი-  
წა გასქდება და სულ დედაბუდიანად თან ჩა-  
გვიტანს; მერე მოჰყვა ტირილს და ათას წყვე-  
ლას უთვლიდა, ვინც მე შემართვევინა, ასე  
რომ სიკვდილი მანატრა. ნეტავ მოვეკალ და  
ის სიტყვა პირიდან არ წამომცდენოდა მეთქი.  
ბოლოს ერთის მხრით მე, მეორეს მხრით ჩემ-  
მა ბატონმა დავაშოშმინეთ და გული დაუმ-  
ევიდეთ; ტირილი გაათავა, რაკი შევეფიცე,  
რომ ჩემ სიცოცხლეში ამას აღარ გავახსენებ  
მეთქი, მოხარული ვიქნები და ბედნიერად  
ვთვლი რომ წინამძღვართან დადიხარ დღეცა  
და ღამეც, ამიტომ, რომ დარწმუნებული ვარ  
შენს პატიოსნებაზე მეთქი.

ასე ამ გვარად სამნივე კარგად მოვეწყეთ,  
და დღევანდლამდე ჩვენგან არავის გაუგონია,  
რაც ჩვენში მოხდა. პირიქით ჭისაც შევატყობ,  
რომ ჩემ ცოლზე რალაცის თქმა უნდა, მაში-  
ნათვე შევაწყვეტინებ ლაპარაკს:

— თუ ჩემი მეგობრობა გინდა მეთქი, ის-  
ეთს ნურაფერს მეტყვი, რომ მაწყენინოს. რო-  
გორ ჩავთვალო მეგობრად ვინც უსიამოვნებას

მომაყენებს, მეტადრე თუ ჩემ ცოლთან უნდა წამაჩხუბონ, რომელიც ქვეყანაზე ყველას მირჩევნია და თვითონ ჩემ სიყმესაც. ღმერთმა ჩემ ცოლს თან გამოატანა მრავალი თავისი წყალობა, ღირსიც არა ვარ და წმიდა ზიარებას დავიფიცავ, რომ რაც ამ ტოლედოს გარშემო ქმრიანი ქალია, ჩემი ცოლი ყველაზე პატიოსანია. ვინც სხვაგვარად ილაპარაკებს, ჩხუბს ავუტეხ.

ამგვარად ვერავინ მიბედავს ლაპარაკს და მშვიდობიანად ვატარებ სიცოცხლეს ჩემის ოჯახობით.

ეს სწორედ იმ წელიწადს იყო, როდესაც ჩვენი გამარჯვებული ხელმწიფე შემოვიდა სახელოვან ქალაქ ტოლედოში და იქ იმყოფებოდა; დიდი დღესასწაულობა იყო, რომელიც თქვენც მოგეხსენებათ.

## თავი მერვე

**ლაზარე ლაპარაკობს თავისი მეგობრობას ტოლედოში შემოსულ გერმანელებთან და თავის თავგადასავალს**

ამ ხანებში ძალიან კეთილ ცხოვრებაში ვიყავი და ბედნიერების სიმალლეზე ვიდექი; რადგანაც მოსიარულე მძახველი ვიყავი, ლაზართიანის ჭაშნიკის დოქით და საუკეთესო ხილის ნიშუშით დავიარებოდი. იმდენი მეგობრები და მფარველები ვიშოვე მკვიდრ მცხოვრებლებშიაც და მოსულებშიაც, რომ საცაკი მივდიოდი, ყველას კარი ღია მიხვდებოდა. ისე ყველასაგან შეგუებული ვიყავი; მგონია კაცი რომ შემომკდომოდა, ან სხვა რამე მარცხი მომსვლოდა, ყველანი ჩემ საქმეში მონაწილეობას მიიღებდენ, მოსარჩლე და მფარველი მეგობრები ამომიჩნდებოდნენ. ამის სამა-

გიეროდ ყელ ჩაუსველებელი სულ არავინა მყავდა; ვიპატიეებდი კარგ ღვინის ჭაშნიკზე რომელსაც მე ვატარებდი ძაბილის დროს; კარგ ლხინში ვიყავით; ერთხელ არ მომხდარა რომ სასმელად ჩვენის ფეხით შევსულიყავით და გამოსვლით სხვითი არ გამოვსულიყავით. ყველაფერზე უკეთესი ეს იყო, რომ მთელ ამ ხანში ლაზარე ტორმესელს ერთი საცოდავი გროშიც არ დაუხარჯავს და არც ახარჯვინებდნენ. ხან და ხან საჩვენებლად ქისას რომ ამოვიღებდი, ვითომ ნახარჯის მიცემა მინდაო, მაშინათვე წყრებოდნენ გერმანელები, თვალ ავად შემომხედავდნენ და იტყოდნენ Nite, nite, asticot lanz\*) შენ რა ხელი გაქვს, და-ლახვრა ღმერთმა ეს ბიჭიო! საყვედურით ამავესებდნენ, საცა ჩვენა ვართო, სხვას ხელი არა აქვს ხარჯვაზედაო.

ამისთანებისათვის მეტის მეტად შემიყვარდა ეს კაცები. მარტო ეს ხომ არ იყო, ყოველთვის რაკი შევხვდებოდი, უბესა და კალთას ამივსებდნენ ხოლმე ლორით და ბატკნის

---

\*) დამახინჯებული გერმანული სიტყვებია: Nicht da hass, dich Gott Lansknecht.

ხორციით, მაგარ ღვინოში და სანელებლებით მოხარშულით, დამარილებულ ხორცსა და პურს მომაჩეჩებდნენ, ასე რომ ჩვენ ცოლ-ქმარს მთელი კვირის სადილის ხორაგად გვყოფნიდა. ამ გვარს უხვობაში მაგონდებოდა აღრინდელი ჩემი შიმშილი და ღმერთს ვადიდებდი და მადლობას ვწირავდი, რომ ამისთანა დრო და ვითარება დაგვიდგა.

მაგრამ ნათქვამია ანდაზა: სიკეთის ბქნელი ან ხელიდან წაგივა, ან მოკვდებოა. მეც ასე მომივიდა, რადგანაც მეფის კარი თავის ჩვეულებით სხვაგან გადავიდა. გამოთხოვების დროს ჩემი მეგობრები მახალისებდნენ, ჩვენთან წამოდიო და ყოველ სიკეთეს მიქალოდენ. მაგრამ მომაგონდა, რომ „შეჩვეული ქირი სჯობია შეუჩვევარ ლხინსაო“, მადლობა ვუთხარი, რომ ჩემი კეთილი სურთ და გულ დაწყვეტილი გამოვესალმე მრავალის ხვევნის შემდეგ. რალა თქმა უნდა, მე რომ ცოლიანი არ ვყოფილიყავი, იმათ საზოგადოებას თავს როგორ დავანებებდი, რადგან ეს კაცები სწორედ ჩემი ფანდი კაცები იყვნენ. მშვენიერი ცხოვრება ჰქონიათ, არ იცოდნენ ამპარტავ-

ნობა და მედიდურობა, არ იუკადრისებდნენ ზოლმე მიკიტანთან შესვლას და ჩაჯდებოდნენ, თუ კი ღვინო ჩაუტკებებოდათ. კარგი და საპატიო კაცები იყვნენ და ჯიბეც ისე კარგა უბძანებდა, რომ იმათზე ნაკლები ღმერთმა მაშოროს, როცა წყურვილი მაწუხებს.

მაგრამ ცოლის სიყვარულმა და აგრეთვე შამულისამ, რომელიც ახლა ჩემ ღვიძლად მივიჩნიე,—ზომ იტყვიან, სადაური ხარო,—შემაჩერეს. ამ სახით დავრჩი ამ ქალაქში და აქაურებში ცოტა სახელიც კი მოვიპოვე, თუმცა კი მენანებოდა ჩემი მეგობრების დატოვება და კარგი ცხოვრება. მაძლარი ცხოვრება მქონდა და ჩემის სიხარულის დასამატად და ჩემის გვარის ჩამომავლობის გასამრავლებლად ჩემ ცოლს ეყოლა ლამაზი გოგონა. თუმცა ცოტაოდე ამის გამო ექვში ვიყავი, მაგრამ ცოლმა შემომფიცა, რომ ქალი შენიაო. ამისთანა დროს ალბად ჩემ ბედს მოეჩვენა, რომ ძალიან თავი მივანებეო და ახლა დროა მრისხანე და მძაფრი თვალი მივაქციოვო, და ამ ცოტაოდე ბედნიერ და ნებიერ წელიწადებს ამდენივე ჭირი და ბოლოს მწარე სიკვდილი და-

ურთოვო. ღმერთო დიდებულო! ვინ შეიძლებდა ამისთანა ყოფაში, რომ ამ დასალუპავ უბედურების და საშინელის ამბავის თქმაზე საწერელი არ დაესვენებინა და ხელიდან კალამი არ დაეგდო?

---

I  
კომუნისტური და უნიფიცირებული

II  
ბიბლიოგრაფია

## I. ტექსტის შესახებ

პ. უმიკაშვილის თარგმანი პირველად დაიბეჭდა ჟ „მოამბეში“ და იმავე წელს (1899) ცალკე წიგნად გამოვიდა. ამ თარგმანის სათაური „ლაზარილიო ტორმესელი“—არ არის სრული და ჩვენ ის შევცვალეთ. თვითონ მოთხრობის სახელწოდება უფრო ვრცელია და იკითხება ასე „ცხოვრება ლაზარილო ტორმესელია: (და) მისი ბედი და უბედობანი“ *La Vida de Lazarillo de Tormes: y de sus fortunas y adversidades*).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: არის აიუ არა ს, კორი წაკითხვა - „ლაზარილიო“? პირდაპირი თარგმანი იქნებოდა „ლაზარილიო“, მაგრამ მთარგმნელს ამ შემთხვევაშიაც დაუცავს საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის წესი, რასაც ისიც ამტკიცებს, რომ შეკვეცილი ფორმით ამ სახელის ხმარებისას (სათაურებში და ტექსტშიაც) „ლაზაროს“ ნაცვლად ქართული „ლაზარე“ გვხვდება. (სათაურებს გარდა იხ. გვ. 25: „—ლაზარე, შენ მე მომაცხუე. ღმერთმანი, შენ სამ-სამი მარცვალი გიჭამია“—და სხვა).

თვითონ ტექსტი არ არის უშუალოდ ესპანურიდან (ან ფრანგულ ენიდან) ნათარგმნი. ამას თვითონ პ. უმიკაშვილაც აღნიშნავს:

„სამწუხაროდ, ჯერჯერობით საზრეთ ენების ცოდნა და კარგის მთარგმნელების ნაკლებობა ჩვენში მეტისმეტია. ამისთანა შემთხვევაში უსარგებლოდ არ დავინახეთ, აგველო ეს მოთხრობა ესპანურიდან რუსულად ნათარგმნი 1897 წ. პანტელეევის გამოცემული და გადმოგვეთარგმნა ქართველ მკითხველებისათვის.“ იხ.

ლაზარილიო ტორმესელი. ესპანური მოთხრობა, თარგმანი პეტრე უმიკაშვილისა. ტფილისი 1899 გვ. V).

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“-ს შედარება ამ მოთხრობის უკანასკნელ, რუსულ გამოცემასთან (გამ. Acad 1931). ვხელმძღვანელობთ ამ წიგნით, რადგანაც ის პირველი ესპანური გამოცემიდან არის თარგმნილი ჩვენში, სამწუხაროდ, ესპანური ენის მცოდნენი არც ამ უბად მოიპოვებიან),— აჩვენებს, რომ უმიკაშვილის თარგმანი მხოლოდ ზოგან თუ არის დაშორებული ტექსტს (იხ. განსაკუთრებით მეხუთე თავის დასასრული, აგრეთვე შესავალი). ცალკე წინადადებების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთა განსხვავება გამოწვეულია ქართული ფრაზის სპეციფიურობათა დაცვით. ქართული ფოლკლორიდან ნაქესხები ხალხური გამოთქმების მოხშარა ამ თარგმანს კარგ საკითხაგ წიგნად ხდის. მაგ: გვხვდება ასეთი გამოთქმები: „... ხუცესმა ამიყვანა და მე, ვაის გამყრელი, ვუის შევეყარე.“ რასაკვირველია ეს ფრაზა არ შეიძლება იყოს ტექსტის სათანადოდ ადგილის სიტყვა-სიტყვითი განმეორება, მაგრამ ის კარგად გამოჰხატავს კონტექსტის შინაარსს. თარგმანის მხატვრული ღირსებაც ამაშია.

აბზაცებისა და ახალი პერიოდების დასაწყისი პ. უმიკაშვილის თარგმანისა ხშირად განსხვავდება უკანასკნელი რუსული გამოცემის აბზაცთა რიგისაგან. ეს ბუნებრივიცაა: პ. უმიკაშვილი მისდევს სულ სხვა ტექსტს. ამის გამოც ქართულ თარგმანში ზოგი ადგილი უფრო მოკლეა, ზოგი კი უფრო გავრცობილი, ხოლო

128

ქართული თარგმანის მე-8 თავი Academia-ს გამცემაში სრულიად არ არის.

მართლწერის ახალი ნორმების მიხედვით „ლაზარული ტორმესელი“-ს ქართულ თარგმანში ბევრი რამ შესაცვლელია. მაგრამ ჩვენ განზრახ არ გავუსწორეთ მთარგმნელს ენა, რადგან ამას შეეძლო თარგმანის ხასიათის და კოლორიტის შეცვლა. ეს კი ავნებდა „ლაზარული“-ს მხატვრულ მხარეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევიტანეთ უმიკაშვილის თარგმანში ზოგიერთი შესწორება. პირველ გამოცემაში მაგ. გვხვდება სიტვა „ნემეცი“ იხ. ჩვენი გამოცემის მე-8 თავის სათაური, აგრეთვე გვ. 121, იქვე-შენიშვნა და შემდეგ). ასეთი რუსიციზმის გაშვება, რასაკვირველია. არ იყო სასურველი და ჩვენ ის შევცვალეთ „გერმანელი“-თ. ეს სტილისტური კორექტივი მხატვრული თვალსაზრისითაც გამართლებულია.

## II. ლიტერატურა „ლაზარული ტორმესელის ცხოვრება“-ს შესახებ

ქართულ ენაზე „ლაზარული ტორმესელის ცხოვრება“-ს შესახებ ლიტერატურა არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ორი რეცენზიებს, რომელიც ქართულ ეურნა ჯ-ვაზეთებში დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის თარგმანზე. აქ მხოლოდ იმ წიგნებსა და ცალკე წერილებზე მივუთითებთ, რომელთა შოვნა შეიძლება ტფილისის ბიბლიოთეკებში:

1. Тижнор: История испанской литературы. пер. Н. И. Стороженко. том I. М. 1883.
2. Н. Стороженко: Происхождение бытового романа (об. „Из области литературы“, М. 1902)
3. К. Н. Державин: Мексиканский плутовской роман. („язык и литература“, вып. IV. Л.1930)
4. მისივე: „Жизнь Ласарильо С тормеса и Плутовской роман“. (об. Жизнь Ласарильо С тормеса. Academia Л. 1931.)
5. A. Schultheiss: Der Schelmenroman der Spanier und seine Nachbildungen. Hamb., 1893.. (საფუძვლიანი გამოკვლევა პიკარული რომანის ისტორიისა და „ლაზარილიო“-ს შესახებ)

„ლაზარილიო ტორმესელის ცხ.ივრება“-ს შესახებ ცნობებს მკითხველი იპოვის აგრეთვე ესპანური ლიტერატურის პოპულარულ სახელმძღვანელოებში (რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე).

თვით ესპანურ ენაზე კი მდიდარი ლიტერატურა არსებობს ამ საკითხის შესახებ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

აღ. გაწერელია—„ლაზარელიო ტორმესელის ცხოვრება“ (წინასიტყვაობა) გვ. V-XVI

## ლაზარელიო ტორმესელის ცხოვრება

წინასიტყვაობა ავტორისა . . . . . 5

თავი პირველი

ლაზარე თავის ცხოვრების ამბავს ლაპარაკობს, ვისი შვილი იყო. -- ბრმასთან ყოფნა. . . . . 7

თავი მეორე

როგორ ცხოვრობდა ლაზარე მღვდელთან და რა გადახდა თავსა . . . . . 35

თავი მესამე

ლაზარე რაინდს როგორ დაუდგა და რა გადახდა . . . . . 59

თავი მეოთხე

ლაზარე როგორ ცხოვრობდა ბერთან და რა დაემართა . . . . . 98

თავი მეხუთე

ლაზარე პაპის ბუღლების გამყოფთან როგორ იმყოფებოდა და მისი თავგადასხვალი . . . 99

## თავი მეექვსე

ლაზარე როგორ ცხოვრობდა საყდრის წინა-  
მძღვართან და რა გადახდა . . . . . 112

## თავი მეშვიდე

როგორ ცხოვრობდა ლაზარე ალგვაზილითან  
და თავს რა გადახდა . . . . . 114

## თავი მერვე

ლაზარე ლაპარაკობს თავის მეგობრობას ტო-  
ლედოში შეშოსულ გერმანელებთან და თავის  
თავგადასაყადს . . . . . 120

კომენტარიები და შენიშვნები . . . . . 127

ბიბლიოგრაფია (ლიტერატურა) . . . . . 129

მთავლიტი № 969.      შეკ 01492      ტირაჟი 5.000.

საქ. პოლიგრაფტრ. მე-2-ე სტამბა, ორჯონიკიძის, 50.